11263

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
5 დეკემბერი
1940 წ.
№ 282 (5983)
ფასი 10 კაპ.

ოთხი წლის წინათ, საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა სოციალიზმის ქვეყნის დიადი ქარტია — სტალინური კონსტიტუცია.

სტალინური კონსტიტუციის დიადი დროშით წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ, კომუნიზმის გასხივოსნებული მწვერვალებისაკენ!

გაუმარჯოს სსრ კავშირის დიადი კონსტიტუციის გენიალურ შემოქმედს, ხალხთა ბელადს დიდ სტალინს!

სტალინური კონსტიტუციის დიადი დროშით

Oთხი წლის წინათ, 1936 წლის 5 დეკემბერს, საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე მიღებულ იქნა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანმა ხალხმა სრულიად მართებულად უწოდა მისი გენიალური შემოქმედის — დიდი სტალინის სახელი.

დამტკიცება ჩვენი ეპოქის ამ შესანიშნავი დოკუმენტისა, რომელშიც ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეთა დიადი უფლებანი და მოვალეობანი, უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა. ახალი კონსტიტუციის მიღებამ კანონიერი სიამაყის გრძნობითა და უსაზღვრო სიხარულით აღავსო მშრომელთა მილიონები. სწორედ ამიტომ 5 დეკემბერი, როგორც ხალხთა საყოველთაო ქარტიის მიღების დღე, გადაიქცა საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხის ბრწყინვალე ტრადიციულ დღესასწაულად.

სტალინურ კონსტიტუციაში, როგორც სარკეში, მკვეთრად აისახა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებები, რომლებიც მოხდა სსრ კავშირის ეკონომიკაში, საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, ჩვენი ქვეყნის, როგორც მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს, ცხოვრებაში. სტალინურ კონსტიტუციაში განსაკუთრებით მკვეთრად აღიბეჭდა, როგორც ჩვენი ქვეყნის განვლილი გზის ისტორიული შედეგი — სოციალიზმის გამარჯვება.

ამ ისტორიულ მონაპოვარზე დაყრდნობით, სოციალისტური ეკონომიკის ურყევ საფუძველზე დაყრდნობით საკანონმდებლო წესით გარანტირებულ იქნა შრომის უფლება, დასვენების უფლება, განათლების უფლება, უფლება მატერიალური უზრუნველყოფისა მოხუცებულობის დროს.

მხოლოდ ამ ისტორიულ მონაპოვარზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი სრული დემოკრატიზაცია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ოთხი წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს სტალინური კონსტიტუცია. რა კოლოსალური წარმატებები იქნა მოპოვებული დროის ამ მცირე მონაკვეთში სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე!

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარებულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნებმა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა მთელი სიცხადით გვიჩვენეს საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხის უმაგალითო მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

„ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დარგში, — ამბობდა ამხანაგი **სტალინი** ჩვენი პარტიის XVIII ყრილობაზე, — ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვრად საანგარიშო პერიოდში მიჩნეულ უნდა იქნას ექსპლოატატორული კლასების ნაშთების საბოლოო ლიკვიდაცია, მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის დარაზმვა ერთ საერთო შრომის ფრონტად, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება და, როგორც ყოველივე ამის შედეგი, — ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სრული დემოკრატიზაცია, ახალი კონსტიტუციის შექმნა“.

არჩევნები, რომლებიც ჩატარდა ახალი კონსტიტუციის საფუძველზე, ყველგან წარმოადგენდნენ ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის ბრწყინვალე დემონსტრაციას.

სტალინური კონსტიტუციის დროშით მიდიოდნენ ჩვენი სახელოვანი წითელარმიელები სოციალიზმის ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხების გასათავისუფლებლად, აგრეთვე თეთრფინელებთან ბრძოლაში.

საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი გენიალური წინასწარმეტყველებით ამბობდა ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ, რომ „ეს იქნება დოკუმენტი, რომელიც მოწმობს იმას, რომ ის რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიც“.

რა ბრწყინვალედ დაადასტურა ცხოვრებამ დიდი სტალინის ეს ბრძნული სიტყვები!

სტალინური კონსტიტუციის დღესასწაულს, როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს, წელს აღნიშნავს არა 11 რესპუბლიკა, არამედ 16 მოკავშირე რესპუბლიკა. სოციალიზმის ქვეყანა გაიზარდა ტერიტორიულად და მოსახლეობის მხრივაც. სტალინური კონსტიტუციის კაშკაშა მზე თავის უხვ და ნათელ სხივებს ჰფენს ახლად განთავისუფლებულ ბალტიისპირა ქვეყნებსაც, რომლებიც შემოუერთდნენ ხალხთა დიად სტალინურ ოჯახს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო იფურჩქნება და ჰყვავის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ფართოდ ვითარდება სოციალისტური სახელმწიფოს თვითეული მოქალაქის პირადი ღირსებები. გასაგებია, რომ ისე როგორც სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ახალ რესპუბლიკებში ჩატარებული არჩევნების დროსაც ხალხმა უმაგალითო დარაზმულობით და ერთსულოვნებით მისცა ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ბოლშევიკების პარტიის პოლიტიკას, სტალინურ კონსტიტუციას.

სტალინური კონსტიტუციის დღესასწაულს წელს კვლავ გართულებულ საერთაშორისო ვითარებაში აღნიშნავს ჩვენი ქვეყანა. ევროპასა და აზიაში გაჩაღებული მეორე იმპერიალისტური ომი დღითიდღე ითრევს თავის ორბიტში ახალ-ახალ ქვეყნებს. ამ ორომტრიალში ჩვენი სოციალისტური სამშობლო, რომელიც იმყოფება კაპიტალისტურ გარემოცვაში, კვლავ ომის გარეშეა. იგი თანმიმდევრულად ატარებს ბრძნულ სტალინურ საერთაშორისო პოლიტიკას. დღითიდღე იზრდება მთელს მსოფლიოში მისი გავლენა და საერთაშორისო ავტორიტეტი. მაგრამ ჩვენ როდი შეგვიძლია გულდამშვიდებული ვუყუროთ ამბებს, რომლებიც ვითარდება ჩვენი მიჯნების იქით. ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დავივიწყოთ ბრძენი ბელადის მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში ვიყოლიოთ ჩვენი ხალხი.

უფრო ხავიანი და ბარაქიანი უნდა გავხადოთ ჩვენი სამშობლო იმისათვის, რომ უფრო მტკიცედ შევმოსოთ იგი ფოლადის ჯავშნით, რათა ჩვენი ქვეყანა გადავაქციოთ კიდევ უფრო მიუვალ ციხესიმაგრედ.

გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუცია ძლევამოსილად მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში, ამავე დროს იგი მოქმედების პროგრამაა კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთათვის. იგი შუქურასავით უნათებს გზას მთელ მშრომელ კაცობრიობას ბედნიერებისაკენ, თავისუფლებისაკენ.

საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს საბჭოთა ქვეყნის 193-მილიონიანი ხალხის ფიქრები, გულითადი სურვილები და გრძნობები კვლავ მიმართულია იმ ადამიანისადმი, ვინც საბჭოთა ხალხს დაუმკვიდრა საამური და ბედნიერი ცხოვრება, ვისაც ჩვენი დიადი და უძლეველი ქვეყანა მიჰყავს კომუნიზმის კაშკაშა მწვერვალებისაკენ — ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის — დიდი სტალინისადმი.

სსრ კავშირის კონსტიტუციის გამოცემა

37,8 მილიონი ცალი

სრულიად-საკავშირო წიგნის პალატის ცნობებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) სსრ კავშირში ოთხი წლის მანძილზე გამოცემულია 37,8 მილიონი ცალი. რუსულ ენაზე დაბეჭდილია კონსტიტუციის 28,7 მილიონი ცალი, სხვა ენებზე — 9,1 მილიონი ცალი.

სსრ კავშირის კონსტიტუცია გამოცემულია 76 ენაზე. იგი გამოვიდა საბჭოთა კავშირის იმ ხალხთა მრავალ ენაზე, რომლებსაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე თავისი დამწერლობაც კი არა ჰქონიათ — ადიღეურ, ინგუშურ, ნოღაურ და სხვ. ენებზე. სტალინური კონსტიტუცია მასობრივი ტირაჟით გამოცემულია ახალი საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ენაზე — ლატვიურ, ლიტვურ, ესტონურ, მოლდავურ, კარელურ და ფინურ ენებზე. სსრ კავშირის კონსტიტუცია დაბეჭდილია ბევრ უცხო ენაზედაც.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები ამ წლების განმავლობაში გამოცემულია 35,9 მილიონი ცალი საერთო ტირაჟით. (საქდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის პროკურორმა, ამხ. ბოჩკოვმა, სსრ კავშირის კონსტიტუციის 115 მუხლის შესაბამისად, ლატვიის სს რესპუბლიკის პროკურორად დანიშნა ამხ. ერნესტ ავგუსტის-ძე სოლდნეკი. (საქდესი).

ახალი სასკოლო შენობა

წყალტუბო, 4 დეკემბერი (საქდესი). სოფ. მაღლაკში დამთავრდა ორსართულიანი შენობის აგება საშუალო სკოლისათვის. სკოლის მშენებლობაზე წელს დაიხარჯა 150.000 მანეთი.

სკოლა გაიხსნება კონსტიტუციის დღეს — 5 დეკემბერს.

სასწავლო წლის პირველი დღეები

შრომითი რეზერვების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში მეცადინეობის პირველი დღეების შედეგები.

სასწავლებლებისა და სკოლების უმრავლესობაში სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყო. მეცადინეობის დაწყებამდე ბევრ ოლქსა, მხარესა და რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ტარდებოდა მოსწავლეთა საქალაქო და რაიონული კრებები. 1 დეკემბერს სკოლებსა და სასწავლებლებში შესდგა საორგანიზაციო კრებები, რომლებზედაც მოსწავლეებს გააცნეს სწავლის პროგრამები და დღის განაწესი, ამავე კრებებზე მოხდა მათი განაწილება ჯგუფების მიხედვით. 2 დეკემბერს მეცადინეობა დაიწყო.

სასწავლებლებისა და სკოლების უმრავლესობაში აღნიშნულია მეცადინეობაზე მოსწავლეთა დასწრების მაღალი პროცენტი. დნეპროპეტროვსკის ოლქში სწავლას შეუდგა გაწვეულთა 99,2 პროცენტი, მოლოტოვის ოლქში — 99 პროცენტი და სხვ.

მაგრამ პირველი მეცადინეობა ყველგან როდი ჩატარებულა ორგანიზებულად. ჩელიაბინსკის ოლქში 100-ზე მეტი ახალგაზრდა კოლმეურნე თავის დროზე ვერ მიიყვანეს სწავლების ადგილას. სტალინგრადის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის“ საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის ბაზაზე მოწყობილ სახელოსნო სასწავლებელში მოსწავლეთა განაწილება ჯგუფებად მხოლოდ 2 დეკემბერს დაამთავრეს. ვოროშილოვგრადის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ერთერთ სკოლაში მოსწავლეები 2 დეკემბერს უსაქმოდ ისხდნენ. კომინტერნის სახელობის ქარხნის (ქ. ვორონეჟი) საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლის ბაზაზე მოწყობილი სახელოსნო სასწავლებლის ხელმძღვანელებს მეცადინეობის დაწყებისათვის ჯერ კიდევ არა ჰქონდათ შედგენილი ცხრილი.

მოწინავე ოლქები, მხარეები და რესპუბლიკები განაგრძობენ მუშაობას სასწავლებლებისა და სკოლების შემდგომი მოწყობისათვის, მათთვის მტკიცე სასწავლო და მატერიალური ბაზის შესაქმნელად. ლენინგრადის ოლქის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ეწყობა საკუთარი საწარმოო სახელოსნოები, იძენენ საჭირო ინსტრუმენტს და სამშენებლო მასალას. ბევრ სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელში აწყობენ ახალ სასწავლო კაბინეტებს, ჰყიდულობენ თვალსაჩინო ხელსაწყოებს. (საქდესი).

სსრკ მეცნიერებათა აკადემიაში

სსრკ ხალხთა ფოლკლორის კრებული

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 3 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება, შეუდგეს სსრკ ხალხთა ფოლკლორის კრებულის გამოცემას. ამ ნაშრომის მიზანია საბჭოთა მკითხველების, პოეტების, მწერლების, მხატვრებისა და კომპოზიტორების ფართო წრეებისათვის მისაწვდომი გახადოს ხალხური პოეტური კულტურის სიმდიდრე.

პირველ რიგში გამოიცემა რუსული ფოლკლორის კრებული. იგი მოიცავს ყველა ჟანრის ხალხურ შემოქმედებას — თქმულებებს, ზღაპრებს, სიმღერებს, ანდაზებს, შაირებსა და სხვ.

კრებულის შესადგენად მუშაობაში ჩაბმულ იქნებიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების ფოლკლორისტები.

დამტკიცებულია კრებულის მთავარი რედაქცია. მას მეთაურობს აკადემიკოსი ა. ნ. ტოლსტოი.

პირველი ტომი დასაბეჭდათ გამზადებულ იქნება 1941 წელს. (საქდესი).

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების არქიტექტორთა შემოქმედებითი შეხვედრა

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის არქიტექტორთა შემოქმედებითი შეხვედრის სხდომები გუშინ მიმდინარეობდა ხელოვნების ოსტატთა კლუბში. დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა ამხ. ამბარცუმიანი. კამათში არქიტექტურის აკადემიკოს ნ. სევეროვის, ს. დადაშევის და ს. საფარიანის მოხსენებების გამო გამოვიდნენ არქიტექტორები ფრიდოლინი (აზერბაიჯანი), აგაბაბიანი (თბილისი), გრიგორიანი (სომხეთი), გერბერი, ალესკეროვი და ვაიდოვი (აზერბაიჯანი), ბაბაჯანიანი და ისაბეკიანი (სომხეთი).

საღამოს სხდომაზე, რომელზეც თავმჯდომარეობდა თ. ფოცხიშვილი, კამათში გამოვიდნენ არქიტექტორები სულთანოვი, რ. თავაძე, არქიტექტურის აკადემიკოსი კოლი. საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფესორ ლოვშიცის (მოსკოვი) ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება თემაზე: „ნაციონალური კულტურა და ხალხურობა ხელოვნებაში“.

ამით დასრულდა გუშინდელი სხდომები. დღეს არქიტექტორთა შეხვედრის დელეგატები ინახულებენ ბელადის სამშობლო ქალაქ გორს. ხვალ ხელოვნების ოსტატთა კლუბში კამათის გაგრძელდება.

საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კონფერენცია

გუშინ თბილისის კონსერვატორიის დარბაზში დაიწყო მუშაობა საქართველოს კომპოზიტორთა კონფერენციამ, რომელსაც ესწრებიან მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის კომპოზიტორები და მუსიკის მცოდნეები. კონფერენცია გაიხსნა საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. ლ. ესაკიას შესავალი სიტყვით. პრეზიდიუმში სხედან: ლ. ესაკია, დ. არაყიშვილი, ი. ძერჟინსკი, დანკევიჩი, ქ. ფოცხვერაშვილი, გ. კილაძე, ბელი, ჩემბერჯი, პ. ხუჭუა, ა. ბალანჩივაძე და სხვ.

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებითი გზების განვითარების შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა მუსიკისმცოდნე ამხ. პ. ხუჭუა, რომელმაც კრიტიკულად განიხილა საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედება, აღნიშნა მუსიკალური ხელოვნების დიდი აღმავლობა და იმავე დროს ხაზი გაუსვა ნაკლოვანებებს საქართველოს კომპოზიტორთა მუშაობაში.

მოხსენების გამო გაიმართა საქმიანი კამათი. უკრაინელმა კომპოზიტორმა დანკევიჩმა წაიკითხა სიტყვა ლვოველი კომპოზიტორის ბროვინსკისა, რომელიც საბჭოთა მუსიკის დეკადას ესწრებოდა, მაგრამ შემოქმედებითი კონფერენციის გახსნამდე გაემგზავრა თბილისიდან. ასევე წერილობით დასტოვა თავისი სიტყვა ბელორუსმა კომპოზიტორმა ალადოვმა, რომელიც წაიკითხა ვ. გოკიელმა. სიტყვებით გამოვიდნენ ოსტრეცოვი (მოსკოვი), ი. ტუსკია, კრეიტნერი (ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის მოადგილე), პროფესორი არაპოვი (ლენინგრადი), ჩემბერჯი (მოსკოვი), ძერჟინსკი (მოსკოვი) და დანკევიჩი (უკრაინა).

ამით დასრულდა გუშინდელი დილისა და საღამოს სხდომები. დღეს გრძელდება კამათი.

ციტრუსოვანთა კრეფა

ბათუმი, 4 დეკემბერი (საქდესი). აჭარის კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში დღეისათვის მოკრეფილია 252 მილიონი ცალი მანდარინი, რაც წლიური გეგმის 76 პროცენტს უდრის.

ქობულეთის რაიონის სოფ. ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, გეგმით გათვალისწინებული 250 ათასის ნაცვლად, მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 420 ათასი ცალი მანდარინი. ბათუმის რაიონის სოფ. ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ მანდარინის კრეფისა და ჩაბარების გეგმა 110 პროცენტით შეასრულა. აჭარის ჩაის ტექნიკუმის მეურნეობამ 2.021 ათასი ცალი მანდარინი ჩააბარა, რაც გეგმის 112 პროცენტს უდრის.

აჭარის ციტრუსოვანთა პლანტაციებში დაიწყო ლიმონის კრეფა. დღეისათვის მოკრეფილია 300 ათასი ცალი ლიმონი.

გეგმის შესრულება

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა 1 დეკემბრისათვის გადამეტებით შეასრულა ციტრუსოვანთა ნაყოფის, ლაოჩაის კრეფისა და ჩაის თესლის შეგროვების გეგმა.

მოკრეფილია 15.400.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი — გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, შეგროვებულია 111,3 ტონა ჩაის თესლი — გეგმის 100,3 პროცენტი, მოკრეფილია 1.465 ტონა ლაოჩაი (114 პროც.).

ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ლაო-ჩაის კრეფა გრძელდება.

მ. ნარსია

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დირექტორი.

ახალი სამხედრო სახელწოდებანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგითი და უმცროსი უფშემადგენლობისათვის

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარმა ადმირალმა ნ. გ. კუზნეცოვმა სპეციალური ბრძანებით გამოაქვეყნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ახალი სამხედრო სახელწოდებანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგითი და უმცროსი უფშემადგენლობისათვის. ახალი სამხედრო სახელწოდებანი შემოღებულია იმ მიზნით, რათა გადიდდეს უმცროსი უფშემადგენლობის პასუხისმგებლობა საბრძოლო მომზადების მდგომარეობისათვის, წითელფლოტელთა აღზრდისა და სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

გემების, ფლოტის ნაწილების, სანაპირო თავდაცვისა და ავიაციის რიგითი შემადგენლობისათვის დაწესებულია სამხედრო სახელწოდებანი — წითელფლოტელი და უფროსი წითელფლოტელი. სახმელეთო ნაწილებისათვის — წითელარმიელი და ეფრეიტორი. გემებისა და ფლოტის ნაწილთა უმცროსი უფშემადგენლობისათვის — 2 ხარისხის მამასახლისი, 1 ხარისხის მამასახლისი, მთავარი მამასახლისი და მიჩმანი. სანაპირო თავდაცვისათვის, ავიაციისა და სახმელეთო ნაწილებისათვის — უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი და მამასახლისი.

დაწესებულია სახელოზე დაკერებული განსხვავების ნიშნები. მთავარ მამასახლისებსა და უფროს სერჟანტებს მიკუთვნებული აქვთ ახალი ნიშანი — ქუდის ემბლემა — ღუზის გამოხატულება მასზე დახვეული ბაგირით და ლითონის წითელი ვარსკვლავი ზემოთ.

ზევადიანი სამსახურის ყველა პირთათვის, დამოუკიდებლად მიკუთვნებული სამხედრო სახელწოდებისა, დაწესებულია ოქროს შევრონების ტარება. შევრონნი უნდა ატარონ მარცხენა სახელოზე. ხუთი წლის ზევადიანი სამსახურისათვის დაწესებულია ერთი ოქროს შევრონი, ათი და მეტი წლისათვის — ორი, თხუთმეტი და მეტი წლისათვის — სამი.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარმა ფლოტებისა და ფლოტილიების სამხედრო საბჭოებს მისცა მითითება ახალ სამხედრო სახელწოდებათა მიკუთვნების წესის შესახებ. (საქდესი).

ტექნიკოსთა სრულიად-საკავშირო სკოლა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება მოსკოვში ტექნიკოსთა სრულიად-საკავშირო სკოლის მოწყობის შესახებ. სკოლაში იქნება მექანიკური, მეტალურგიული, სამთო-სამადნო, ქიმიური, ენერგეტიკული და რკინიგზის ტრანსპორტის განყოფილებანი. სწავლების ვადა ორი წელიწადია.

ტექნიკოსთა სრულიად-საკავშირო სკოლა გამოუშვებს ტექნიკოს-მექანიკოსებს, მეტალურგებს, ქიმიკოსებს, ელექტრიკოსებს, სამთო ტექნიკოსებს, საგზაო მეურნეობისა და მოძრაობის ტექნიკოსებს.

დამტკიცებულია მიღების პირობები. სკოლაში საწარმოთა დირექტორებისა და სახალხო კომისრების რეკომენდაციით მიიღებიან ყველაზე ნიჭიერი ოსტატები და საამქროთა უფროსები არაუმეტეს 30 წლისა. სკოლაში შემსვლელთ უნდა ჰქონდეთ ზოგად საგანმანათლებლო მომზადება საშუალო სკოლის 7 კლასის ფარგლებში მაინც და იმ სპეციალობაზე ოსტატად მუშაობის სულ ცოტა 3 წლის სტაჟი, რომელსაც ტექნიკოსთა სკოლა ამზადებს.

ჩარიცხვის შესახებ განცხადება მიიღება 1941 წლის 15 იანვრამდე. მისაღები გამოცდა იწარმოებს 1-დან 15 თებერვლამდე. ყველა მისაღებმა პირმა შვიდწლედის ფარგლებში უნდა ჩააბაროს გამოცდა რუსულ ენაში, მათემატიკასა და ფიზიკაში. ტექნიკოსთა სრულიად-საკავშირო სკოლაში მიღებულნი უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით 600 მანეთის რაოდენობით თვეში, ხოლო სხვა ქალაქებიდან ჩამოსულნი — საერთო საცხოვრებლითაც.

მეცადინეობა დაიწყება 1941 წლის 1 მარტს (საქდესი).

ხოდაროვის სასოფლო სკოლის 70 წლისთავი

ჩებოქსარი. ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის შუმერლის რაიონის მშრომელები 19 დეკემბერს აღნიშნავენ ხოდაროვის ჩუვაშური სასოფლო სკოლის 70 წლისთავს. სკოლის ორგანიზატორი იყო ვ. ი. ლენინის მამა — ილია ნიკოლოზის-ძე ულიანოვი, რომელიც მაშინ სიმბირსკის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორად მუშაობდა.

ბევრი შუამდგომლობის შემდეგ ი. ნ. ულიანოვმა 1870 წელს შესძლო ამ სკოლის მოწყობა და 300 მანეთი მიიღო მასწავლებლის შესანახავად. სკოლა გლეხის ქოხში იყო მოთავსებული. პირველად სკოლაში 12 ბავშვი დადიოდა. იმ დროს სოფელ ხოდარში წერა-კითხვის მცოდნე არავინ იყო.

ორი წლის შემდეგ ი. ნ. ულიანოვმა სკოლის შენობის ასაგებად დიდის ვაი-ვაგლახით იშოვნა კიდევ 200 მანეთი. სკოლა აგებულ იქნა 1873 წელს.

ამჟამად სოფელში სკოლის გვერდით, რომელიც აგებულია ი. ნ. ულიანოვის ხარჯთაღრიცხვისა და გეგმის მიხედვით, არის ხოდაროვის საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა. აქ სწავლობს 500 ბავშვი, მუშაობს 20 მასწავლებელი. (საქდესი).

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება

ქვანახშირის ამოღების ნოემბრის გეგმა გადამეტებით არის შესრულებული

შეჯამებულ იქნა შედეგები სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შახტების მუშაობისა ნოემბრის განმავლობაში. ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმა სახალხო კომისარიატის ხაზით გადამეტებით არის შესრულებული. ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს ქვანახშირი დონბასმა, კუზბასმა, მოსკოვის საგარეუბნო აუზმა, ყარაგანდამ, ჩერემხოვის აუზმა და შორეული აღმოსავლეთის შახტებმა.

დონეცის აუზის 25 ტრესტიდან 23 ტრესტმა მთლიანად და გადამეტებით შეასრულა ქვანახშირის ამოღების ნოემბრის პროგრამა. წარმატებით დაამთავრა თვიური პროგრამა მოსკოვის საგარეუბნო აუზის ყველა 5 ტრესტმა, კუზბასში — 7 ტრესტმა 8-დან.

კომბინატთა შეჯიბრებაში „სტალინუგოლი“ (დონბასი) კომბინატ „კუზბასუგოლზე“ წინ არის, კომბინატ „მოსკვოუგოლის“ კოლექტივმა გაუსწრო „ვოროშილოვგრადუგოლის“ მაღაროელებს, ხოლო „როსტოვუგოლის“ კოლექტივი ნოემბერში უკეთ მუშაობდა, ვიდრე კომბინატ „ურალუგოლის“ მაღაროელთა კოლექტივი. (საქდესი).

ფერადი მეტალურგიის მუშაკთა წარმატება

გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ნოემბერში ახალი წარმატებანი მოუტანა ფერადი მეტალურგიის მუშაკებს. სპილენძის მადნის ამოღების, სპილენძის შავად გამოდნობის, თუთიის, ალუმინის, თიხამიწის წარმოებისა და ბოქსიტების ამოღების გეგმა გადამეტებით არის შესრულებული. (საქდესი).

ახალი საწარმოები საქართველოს სს რესპუბლიკაში

სრულიად-საკავშირო კოოპსარეწსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სს რესპუბლიკაში სარეწაო კოოპერაციის ახალ საწარმოთა მშენებლობის გეგმა. 1941 წელს თბილისში აიგება ლუდის ქარხანა და ძაფსართავი ფაბრიკა. მცხეთის რაიონში განზრახულია კერამიკული ქარხნის აგება, რომელსაც ექნება თიხის ჭურჭლის, მხატვრულ ნაკეთობათა, კაფელის ფილებისა და სხვ. საამქროები. რესპუბლიკაში ეწყობა ზეთისა და ექსტრაქტების დამზადება ციტრუსოვანთა ნარჩენებისაგან.

ამ საწარმოთა ასაგებად სრულიად-საკავშირო კოოპსარეწსაბჭო 1265 ათას მანეთს გამოჰყოფს.

3 დეკემბერი (საქდესი).

6 და 7 დეკემბერს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი სალექციო დარბაზში აწყობს **ფრიდრიხ ენგელსის** დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიას. სესია გაიხსნება ამხანაგ **ი. თავაძის** შესავალი სიტყვით. მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებები:

1) **ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ევოლუცია — პროფ. მ. გოგიბერიძე**
2) **ენგელსი როგორც მატერიალისტური დიალექტიკის თეორეტიკოსი — პროფ. კ. ბაქრაძე**
3) **ენგელსი და მათემატიკა — პროფ. ლ. გოკიელი.**

სესია დაიწყება საღ. 9 საათზე.

სტალინური კონსტიტუციის დღეს ახალი გამარჯვებებით ხვდებიან

მაუდის ფაბრიკამ წლიური გეგმა შეასრულა

თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“ სტალინური კონსტიტუციის დღეს ახალი საწარმოო წარმატებებით ხვდება. 1 დეკემბრისათვის ფაბრიკამ წლიური დავალება საერთო პროდუქციის ხაზით შეასრულა 102,1 პროცენტით, ხოლო მზა პროდუქციის ხაზით — 95,5 პროცენტით. ეს მიღწევა სტახანოვური და მრავალდაზგოსნური მოძრაობის წარმატებით გაშლის შედეგია. ფაბრიკაში არის დაახლოებით 600 სტახანოველი და 96 მრავალდაზგოსანი.

კონსტიტუციის დღის საუკეთესოდ შეხვედრისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში პირველობას საქსოვ საამქროში ინარჩუნებს ფეიქარი ამხ. მარიამ ბონდარენკო, რომელიც 4 დაზგაზე მუშაობს. იგი ცვლის ნორმას ასრულებს 110-დან 120 პროცენტამდე. ნორმას 115 პროცენტით ასრულებენ მრავალდაზგოსანი ფეიქარი მარიამ ვორობიოვა და სხვები.

ხარკოვის მაუდის ფაბრიკასთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით, თბილისის მემაუდეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა 20 დეკემბრამდე შეესრულებინათ. ამჟამად ფაბრიკამ გადასინჯა ეს ვადა და ვალდებულება იკისრა, წლიური გეგმა საერთო და მზა პროდუქციის ხაზით 15 დეკემბრისათვის შეასრულოს და წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით 50 ათასი მეტრი სხვადასხვა ქსოვილი გამოუშვას.

გუშინ მიღებულ იქნა დეპეშა, რომ უახლოეს ხანში თბილისს ჩამოვა ოდესის მაუდის ფაბრიკის დელეგაცია. იგი თბილისის მაუდის ფაბრიკასთან 1941 წლისათვის დასდებს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას. (საქდესი).

ვადაზე ორი თვით ადრე

ქუთაისი, 4 დეკემბერი (საქდესი). ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის მუშათა კოლექტივი წარმატებით შეხვდა სტალინური კონსტიტუციის დღეს. კომბინატმა საერთო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა 103,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდისა კი — 110,7 პროცენტით.

საგრეხმა საამქრომ ჯერ კიდევ 25 ოქტომბერს შეასრულა წლიური გეგმა და — 4 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1000 კილოგრამი აბრეშუმის ნაგრეხი. წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე საქსოვმა საამქრომ.

კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სამდაზგოსანი სტახანოველები ლუბა ხნიკინა, იუსტინა სიჩუკი და მრავალი სხვა, რომლებმაც წლიური გეგმები 123-136 პროცენტით შეასრულეს.

7.400.000 კილოვატსაათი ენერგია

სტალინის სახელობის რიონჰესის კოლექტივი, რომელიც წარმატებით აგრძელებს შეჯიბრებას მოძმე უკრაინის რესპუბლიკის ლენინის სახელობის დნეპრჰესთან, ახალ საჩუქრებს უმზადებს დიადი სტალინური კონსტიტუციის ოთხი წლისთავს.

ელსადგურის საამქროებსა, ბრიგადებსა, ინჟინერ-ტექნიკოსებსა და მუშებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება.

წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში გამარჯვების შემდეგ, რაც თერთმეტი თვის გეგმის 36 დღით ადრე შესრულებით დაგვირგვინდა, რიონჰესმა მიმდინარე წლის საწარმოო დავალება 20 ნოემბერს წარმატებით გაანაღდა. სადგურის კოლექტივმა თავის ახალ ვალდებულებად იკისრა 5 დეკემბრისათვის გეგმის ზევით მისცეს ქვეყანას შვიდი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ხოლო წლის ბოლომდე თუთხმეტი მილიონი კილოვატსაათი.

რიონჰესელები ამ ვალდებულებას სასახელოდ ასრულებენ. კონსტიტუციის დღისათვის ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით არის შესრულებული. სადგურმა 2 დეკემბრისათვის ქვეყანას მისცა 7.400.000 კილოვატსაათი ენერგია.

სადგურის კოლექტივი ახლა იმისთვის იბრძვის, რომ წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გამოიმუშავონ 8 მილიონი კილოვატსაათი ენერგია.

ა. ჭარხალაშვილი

წლიურ გეგმას ვადამდე შევასრულებთ

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა საწარმოო გამარჯვებით ხვდება სტალინური კონსტიტუციის დღეს. მეორე კორპუსის მუშათა კოლექტივმა ნოემბერში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 170.200 წყვილი ფეხსაცმლისა გამოუშვა 182.440 წყვილი, რაც გეგმის 107,2 პროცენტს შეადგენს. პირველი კორპუსის კოლექტივმა ნოემბერში გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცა 11.600 წყვილი ფეხსაცმელი.

მესამე კორპუსმა, რომელსაც ახლად დაწინაურებული ამხ. ა. ჩქარეული ხელმძღვანელობს, გეგმის გადამეტებით 11.500 წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა, მათ შორის 85 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ფაბრიკამ ამ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია საამქროებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სამუშაო საათების შემჭიდროების, აგრეთვე ახალი, უნარიანი, შრომისმოყვარე კადრების დაწინაურების შედეგად.

ფაბრიკის კოლექტივი ამ მიღწევებით როდი კმაყოფილდება; პირველი, მეორე და მესამე კორპუსების კოლექტივებმა ვალდებულება აიღეს წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ.

გრ. ნანეიშვილი

ახალი წარმატებებისაკენ

ამ დღეებში თბილისის რაიონის ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ზეიმით აღნიშნა თავისი არსებობის 10 წლისთავი, შეაჯამა ამ ხნის მანძილზე მოპოვებული მიღწევები და სოცშეჯიბრებაში ჩაბმის მიზნით წერილით მიმართა უკრაინის სსრ ზაპოროჟიეს ოლქის მიხაილოვკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ხსოვნას“.

წერილში ნათქვამია, რომ სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარების შედეგად განუხრელად იზრდება კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შეძლებულობა. 1939 წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი 830.335 მანეთს უდრიდა, წელს კი იგი უკვე აღწევს 1.500.000 მანეთს. თვითეულ შრომადღეზე 1939 წელს 5 მანეთი მივიღეთ, წელს კი მარტო ფულად მივიღებთ არანაკლებ 9 მანეთისა.

კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 340 კომლი. სახელმწიფო აქტით სამუდამო სარგებლობაში გვაქვს 3.600 ჰექტარი მიწა. გვყავს 136 სული მუშა პირუტყვი, 41 ცხენი. გვაქვს 2 ავტომანქანა, ერთი მოტოციკლი. ხეხილის ბაღს 20 ჰექტარზე მეტი უჭირავს, ვენახს—15-მდე ჰექტარი. კოლმეურნეობამ წელს ბოსტნეული 39 ჰექტარზე დასთესა, მარცვლეული—380 ჰექტარზე მოწინავე აგროტექნიკის საფუძველზე კოლმეურნეობამ უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ჰექტარზე საშუალოდ მიიღო კურკოვანთა მოსავალი 62 ცენტნერი, კიტრი—72,9, სხვადასხვა ბოსტნეული—76,8 ცენტნერი და სხვ. მიღწეული წარმატებებით კოლმეურნეობა მონაწილეობდა 1939 და 1940 წლების სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ მას მიენიჭა მეორე ხარისხის დიპლომი.

კოლმეურნეობას დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული მეცხოველეობაში. ნაცვლად 1937 წლის 1380 ლიტრისა, თითო საფურაჟე ძროხაზე გასულ წელს აქ 1.846 ლიტრი რძე მიიღეს, წელს კი 2.000 ლიტრზე მეტი. თვითეული ცხვრისაგან, ნაცვლად 1937 წლის 2 კილოგრამისა, მიღებულია 3,1 კილოგრამი მატყლი.

კოლმეურნეობა ყოველთვის დროულად და პირნათლად ასრულებს მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლის, თივის ჩაბარების და სხვა სახელმწიფო ვალდებულებებს.

— მაგრამ—სწერენ ავჭალელი კოლმეურნეები — მიღწეულით ჩვენ როდი ვკმაყოფილდებით. ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების საპასუხოდ ჩვენ უკვე გადავდგით პრაქტიკული ნაბიჯები. კოლმეურნეობა იბრძვის იმისათვის, რომ 1945 წლისათვის ხეხილის ბაღების ფართობი ავიყვანოთ 100 ჰექტარამდე, ვენახისა—85 ჰექტარამდე, პირუტყვის საერთო სულადობა გავადიდოთ 8.364-მდე და მივაღწიოთ კიდევ უფრო მაღალ პროდუქტიულობას, ფუტკრის ოჯახთა რიცხვი ავიყვანოთ 365-მდე და თვითეულ სკაზე მივიღოთ 45 კილოგრამამდე თაფლი.

— ჩვენ მთელი მუშაობა წარვმართეთ იმგვარად, რომ უახლოეს დროში ჰექტარზე მივიღოთ 80 ცენტნერი ბოსტნეული, თავთავიანი მარცვლეული—13 ცენტნერი და სიმინდი—არანაკლებ 22 ცენტნერისა, მივაღწიოთ ხეხილისა და ვენახის ბარაქიან მოსავალს.

— ურყევი სტალინური მეგობრობით შეკავშირებულნი, დიად საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენ არ დავზოგავთ ძალასა და ენერგიას ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა კიდევ უფრო მაღალი შემოსავლიანობისათვის. ასე ამთავრებენ უკრაინელ კოლმეურნეებისადმი გაგზავნილ თავიანთ წერილს ავჭალელი კოლმეურნეები.

სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად

(ჭიათურა, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა სტალინური კონსტიტუციის დღეს ახალი წარმატებებით შეხვდა. ორჯონიკიძის, დიმიტროვისა და ვოროშილოვის სახელობის ქარხანა-მაღაროებში სახალხო დღესასწაულის წინ ფართოდ გაიშალა შეჯიბრება, ამ მაღაროებმა ნოემბერი გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს და კიდევ უფრო დიდ წარმატებას აღწევენ დეკემბერში.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში მრავალ სანგრევზე მომუშავე ნიკოლოზ ჰილაძე ყოველდღიურად გეგმას 220-250 პროცენტით ასრულებს.

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში ორდენოსანი პ. ბოყოველის უბანმა ალექსი სემივოლოსის მუშაობის სტილის დანერგვით გასული თვის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა.

სტალინური კონსტიტუციის დღეს — 5 დეკემბერს ექსპლოატაციაში გაიშვება მარგანეცის გამამდიდრებელი ახალი ქარხანა, მოწყობილი უახლესი მექანიკით. ახალი ქარხანა საათში მიიღებს 80 ტონა ნედლეულს, ათი პროცენტით შეამცირებს დანაკარგებს და საერთოდ მოგვცემს მაღალხარისხიან მარგანეცს.

დაკვრითი წესით სწარმოებს და ამ დღეებში დამთავრდება გზატკეცილის მიყვანა კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებამდე.

ჭიათურის ქარხანა-მაღაროებში ფართოდ არის გაშლილი მუშაობა, რათა მაღაროებში მომზადებული შეხვდნენ ახალ სამეურნეო წელს.

ლ. ლოლაძე

○

ტყიბული. სურათზე: ალექსი სემივოლოსის მეთოდით მრავალ სანგრევში მუშაობის ინიციატორები, ლენინის სახელობის მაღაროს სტახანოველები (მარცხნიდან მარჯვნივ): ვარლამ გაბადაძე (საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი), მარგალიტა ალფაიძე (კომკავშირელი) და მნგრეველი სევერიანე ქათამაძე. ფოტო დ. საბელაშვილისა.

როგორ დავამტკიცეთ სტალინური კონსტიტუცია

4 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დამტკიცებულ და მიღებულ იქნა საბჭოთა ხალხის თავისუფლების დიადი ქარტია—სტალინური კონსტიტუცია. 4 წლის წინათ კრემლის დარბაზის ტრიბუნიდან გაისმა დიდი სტალინის სიტყვა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შესახებ.

სიტყვის დიდი ოსტატი უნდა იყოს ადამიანი, რომ შესძლოს იმ აღფრთოვანებისა და სიხარულის გადმოცემა, რომელიც განიცადა ყრილობის ყველა დელეგატმა. რა დაძაბული ყურადღებით ვუსმენდით ჩვენ — დელეგატები დიდი მასწავლებლის ბრძნულ სიტყვებს!...

○

23 ნოემბრის საღამო იყო მოსკოვში რომ ჩავედით. დედაქალაქმა გულთბილად მიგვიღო. გაჩირაღდნებული ქალაქი ღამით თვალს გვჭრიდა და ისეთ სანახობას წარმოადგენდა, გვგონებოდათ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დედამიწას მოჰფენიაო.

გათენდა 25 ნოემბერი, რომელსაც მოუთმენლად ველოდით. ჩვენი აზრი და გონება დიდი სტალინის გარშემო ტრიალებდა...

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობა 25 ნოემბრის საღამოს ხუთ საათზე უნდა გახსნილიყო, მაგრამ დელეგატები საქართველოდან ისე, როგორც სხვები, ორი საათით ადრე გავეშურეთ კრემლისაკენ, აგერ წითელი მოედანი და ისტორიული კრემლი. ჩვენ უკვე დარბაზში ვართ. საუცხოო სანახავია დარბაზი. უზარმაზარი, გაჩირაღდნებული, ყოველი დელეგატისათვის მიკუთვნილი ადგილით და თვითეულისათვის რადიოთი. დარბაზი გაჭედილია დელეგატებით. დავიკავეთ ჩვენი ადგილი ტრიბუნიდან მარცხნით. ყველას ყურადღება საათის ისრისაკენაა მიმართული... საათმა დარეკა ხუთი...

პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი და სხვები, რომელთა დანახვაზე იმართება ოვაციები, ყველა ფეხზე დგება და ტაშის ცემაში გაისმის შეძახილები საბჭოთა ხალხების ყველა ენაზე. ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს. ძლივს დაამშვიდა დარბაზი ამხ. კალინინმა და სხდომის გახსნის შემდეგ სტალინს მისცა სიტყვა, დარბაზი უფრო მძლავრად ჰქუხს...

ტაშისცემა და შეძახილები დიდხანს არ სცხრება. უცბად ყველა სმენად გადაიქცა. ამხანაგმა სტალინმა დაიწყო მოხსენება. სულგანაბული უსმენს მთელი დარბაზი... და განა მარტო ჩვენ, დარბაზში მყოფნი! დიდი ბელადის ამ სიტყვას სულგანაბული უსმენდა მთელი საბჭოთა კავშირი, მთელი მშრომელი კაცობრიობა. დარბაზის კედლები აღარ არსებობენ... ბრძენმა, დიდმა გენიოსმა სტალინმა ყველას ყურადღება მიიპყრო.

სრული 2 საათი ილაპარაკა ამხანაგმა სტალინმა.

ექვს დღეს გაგრძელდა კამათი დიდი სტალინის მოხსენების ირგვლივ. ეს იყო ერთიმეორეზე უკეთესი, წარმტაცი მოთხრობები, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვადასხვა ფრონტზე გამარჯვებული სოციალიზმის შესახებ.

გათავდა კამათი, მისალმებანი. წაიკითხეს სარედაქციო კომისიის წევრების სია... აგერ გამოაცხადეს ჩემი გვარიც... სიხარულის და სიამაყის გრძნობას საზღვარი არა აქვს.

3 დეკემბერს შევიკრიბეთ სარედაქციო კომისიის წევრები სვერდლოვის დარბაზში — კონსტიტუციის ტექსტის საბოლოოდ დასადგენად.

სრულ სამ საათზე შემოვიდნენ დარბაზში სტალინი, ორჯონიკიძე, მიქოიანი. ოვაციები, ტაშის ცემა და შეძახილები. ყველას გვქონდა სტალინური კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც მუხლობრივად კითხულობდა დიდი სტალინი და გვეკითხებოდა დამატება-შესწორებებზე. რაოდენი სისადავე და ამავე დროს სიდიადე იყო ამ მუშაობაში! ისეთი განწყობილება შექმნა დიდმა სტალინმა, თითქოს ძველ ამხანაგებში ვისხედით და დროდადრო ნაწერს ვასწორებდით. საქმე იმაშია, რომ სტალინს განსაცვიფრებელი მოქცევა და ღიმილი ახასიათებს და მასთან თავს ისე გრძნობ, როგორც დიდხნის მეგობართან: მარტივად და ძალდაუტანებლად.

ვინ დაივიწყებს სტალინის ღიმილს, როცა ის მიუბრუნდა ერთ „ჯიუტ“ დელეგატს, რომელიც ტრიბუნას არ შორდებოდა და ცდილობდა აუცილებლად შეეტანა შესწორება ერთერთ მუხლში, მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ მისი წინადადება უარჰყო. დიდი სტალინი მიუბრუნდა მას, ჩვენზე მიუთითა და უთხრა: „მათ ჰკითხე, ჩემო კარგო, რომ არ ღებულობენ ამ შესწორებას, მე რა გიყო!“.

დამთავრდა სხდომა. ყველანი ავდექით, მაგრამ წასვლა არ გვინდა, მივჩერებივართ ამხანაგ სტალინს. აგერ ამხ. კორჩაგინა-ალექსანდროვსკაია და დემჩენკო მიემართებიან სტალინისაკენ. ჩვენც მათ მივდევთ. შემოვეხვიეთ გარს დიდ სტალინს. ისინი ესაუბრებიან... ჩვენ კი მივჩერებივართ და ვუსმენთ.

5 დეკემბერს განახლდა ყრილობის სხდომა, რომელზედაც დამტკიცდა კონსტიტუციის ტექსტი.

4 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დამტკიცებულ იქნა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია. რამდენი სარეკორდო მონაპოვარი გვაქვს ამ ხნის განმავლობაში სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტზე!

ჩვენ, საბჭოთა საქართველოს ბედნიერი მასწავლებლები, სიყვარულისა და თავდადების უსაზღვრო გრძნობას განვიცდით ჩვენი უძლეველი სოციალისტური სამშობლოსა და დიდი სტალინისადმი.

სიტყვას ვიძლევით, რომ გავამართლებთ პარტიისა და ხელისუფლების ნდობას, ავამაღლებთ აკადემიური წარმატების რიცხობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებს სწავლა-აღზრდის საქმეში, უფრო შევამჭიდროებთ რიგებს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო.

ალ. სანიკიძე

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობის დელეგატი.

ლ. მანდელშტამი

გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუცია

1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), რომლის გენიალური შემოქმედი არის ამხანაგი სტალინი.

სტალინურმა კონსტიტუციამ დასაწყისი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის „ისტორიული დოკუმენტი, რომელიც მარტივად და სხარტად, თითქმის ოქმის სტილით ლაპარაკობს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტებზე, კაპიტალისტური მონობისაგან სსრ კავშირის მშრომელთა განთავისუფლების ფაქტებზე, სსრ კავშირში გაშლილი, ბოლომდე თანმიმდევარი დემოკრატიის გამარჯვების ფაქტებზე“ (სტალინი).

სტალინური კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ სსრ კავშირი წარმოადგენს მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, აღმოცენებულნი და განმტკიცებულნი კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შედეგად, შეადგენენ სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს. სსრ კავშირის ახალმა ძირითადმა კანონმა მთლიანად აღმოფხვრა საარჩევნო კანონის ყოველგვარი შეზღუდვები, რომლებიც დარჩენილი იყო იმ პერიოდიდან, როდესაც ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტები ჯერ კიდევ არ იყვნენ ლიკვიდირებულნი, და შემოიღო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრით.

სტალინური კონსტიტუცია გამოდის იქიდან, რომ ყველა მოქალაქენი დამოუკიდებლად მათი ნაციონალური წარმოშობისა და რასიული კუთვნილებისა თანასწორი არიან თავის უფლებებში, რომ არ არსებობს განსხვავება უფლებებში მამაკაცებსა და ქალებს შორის, მქონებელთა და არმქონეთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა, „ბინადართა“ და „არაბინადართა“ შორის.

სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებებზე დაყრდნობით, სტალინურმა კონსტიტუციამ კანონმდებლობით განუმტკიცა სსრ კავშირის მოქალაქეთ მათ მიერ უკვე მოპოვებული უფლებანი შრომისა, დასვენებისა, მოხუცებულობაში, ავადმყოფობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფისა, განათლების უფლება, სინიდისის თავისუფლება, სიტყვის, კრებების, ბეჭდვითი სიტყვის, მიტინგების თავისუფლება, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება, პიროვნების, ბინის ხელშეუხებლობა და სხვ.

საბჭოთა ხალხისა და სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებისათვის კონსტიტუცია სსრ კავშირის მოქალაქეებს სერიოზულ მოვალეობებსაც აკისრებს. საბჭოების ქვეყნის თვითეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას სსრ კავშირის კონსტიტუცია, შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. „სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმინდათა-წმინდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო“. განსაზღვრავს რა, რომ საყოველთაო სამხედრო ვალდებულება წარმოადგენს კანონს, კონსტიტუცია სამშობლოს დაცვას აცხადებს სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობად. შრომა სსრ კავშირში „წარმოადგენს შრომისუნარიანი თვითეული მოქალაქის მოვალეობას და ღირსების საქმეს პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის ვერც სჭამს“.

სტალინური კონსტიტუციის დროშით საბჭოთა ხალხმა, დიდი სტალინის გენიით აღფრთოვანებულმა, სოციალიზმის ახალ, დიად გამარჯვებებს მიაღწია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებმა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა დაამთავრეს სოციალისტური საზოგადოების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სისტემის დემოკრატიზაცია და აგება. ამ არჩევნებში ამომრჩეველთა თითქმის საყოველთაო მონაწილეობა, მათ მიერ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის ერთსულოვნად მიცემა იყო ბრწყინვალე დემონსტრაცია საბჭოთა ხალხის მორალურ - პოლიტიკური ერთიანობისა, ხალხთა ურღვევი მეგობრობისა, საბჭოთა ადამიანების მგზნებარე პატრიოტიზმისა, მათი წმინდა სიყვარული სამშობლოსადმი, უსაზღვრო ერთგულებისა ბოლშევიკური პარტიისადმი, სტალინისადმი.

სოციალისტური სახელმწიფოს მთელი სამეურნეო-ორგანიზატორული საქმიანობა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამჟამად მიმართულია სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულებისაკენ—უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამ ამოცანის გადაჭრით ჩვენ სსრ კავშირს გადავაქცევთ ყველაზე მოწინავე ქვეყნად მსოფლიოში და „მივიღებთ შესაძლებლობას გადავიდეთ კომუნიზმის პირველი ფაზიდან მის მეორე ფაზაში“ (სტალინი).

სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ სსრ კავშირის ცხოვრების მეოთხე წელი, რომელიც გაჩაღებული ახალი იმპერიალისტური ომის რთულ საერთაშორისო ვითარებაში მიმდინარეობდა, შესანიშნავ გამარჯვებათა წელი იყო. გაფართოვდა და კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა მუშათა და გლეხთა დიადი, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო.

1939 წლის სექტემბერში პოლონელი პანების უღლიდან ჩვენი თვისტომი ძმების უკრაინელებისა და ბელორუსების განთავისუფლებასთან და უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების ტერიტორიაზე საბჭოების ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 13 მილიონი კაცით გაიზარდა.

ჩვენი მამაცი წითელი არმიის მიერ ფინეთის თეთრგვარდიელთა განადგურების შემდეგ კარელიის ასსრ გარდაქმნილ იქნა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკად და მას გადაეცა ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომელიც საზავო ხელშეკრულების თანახმად ფინეთმა სსრ კავშირს გადასცა.

1940 წლის ივნისში ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის მეოხებით რუმინეთის ბოიარინთა ბატონობისაგან განთავისუფლებულ იქნენ ბესარაბია და ჩრდილოეთი ბუკოვინა. სსრ კავშირის შემადგენლობაში ბესარაბიის ტერიტორიის მოქცევამ და მოლდაველი ხალხის შემოერთებამ გამოიწვია ახალი მოკავშირე რესპუბლიკის—მოლდავეთის სს რესპუბლიკის შექმნა.

1940 წლის ზაფხულში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ხალხებმა, სოციალიზმის ქვეყნისადმი მხურვალე სიმპატიით და მშვიდობიანობისადმი მისწრაფებით გამსჭვალულებმა, დაამხეს თავიანთი ბურჟუაზიული პლუტოკრატიული მთავრობები, რომლებიც იმპერიალისტებს მიეყიდნენ, და ერთსულოვნად გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. ლიტველი, ლატვიელი და ესტონელი ხალხების ნება-სურვილის თანახმად და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შედეგად ლიტვა, ლატვია და ესტონეთი შევიდნენ სსრ კავშირში მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უფლებებით.

ამრიგად, სსრ კავშირის მოსახლეობა 23 მილიონი კაცით გაიზარდა. დიადი საბჭოთა კავშირი, რომელიც 193 მილიონ სულ მოსახლეობაზე მეტს ითვლის, წარმოადგენს საბჭოთა ხალხების მეგობრობის შესანიშნავ ნიმუშს, 16 მოკავშირე რესპუბლიკის ურღვევ ძმურ ოჯახს.

ახალი საბჭოთა ოლქებისა და რესპუბლიკების მაგალითზე ნათლად სჩანს სოციალისტური წყობილების დიადი გარდამქმნელი და შემოქმედებითი ძალა.

საკმარისი იყო უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების ერთი წლის თავისუფალი არსებობა, რომ გამოცოცხლებულიყვნენ ადამიანები, გამოცოცხლებულიყვნენ სოფლები და ქალაქები. განთავისუფლებული ოლქების ქალაქებში უკვე აღარ არის უმუშევრობა, სოფლებში აღარ არიან უმიწო გლეხები. გლეხები სამუდამოდ განთავისუფლდნენ საუკუნოებრივი კაბალისაგან. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა მემამულეებს მიწა და იგი მშრომელ მხვნელ - მთესველებს დაურიგა. მარტო ლატვიაში უმიწო და მცირემიწიანმა გლეხებმა თავის სარგებლობაში მიიღეს 550 ათასამდე ჰექტარი მიწა. მრავალი ასეული ათასი ჰექტარი მიწა მიიღეს ლიტვის, ესტონეთის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის გლეხებმა.

1940 წელმა მოიტანა ახალი უდიდესი წარმატებანი სამეურნეო მშენებლობის დარგშიც. სოციალისტური მრეწველობა წლიურ გეგმას ვარაუდით შეასრულებს 13.6 მილიარდი მანეთის მატებით, ანუ 11 პროცენტით უფრო მეტით, ვიდრე 1939 წელს (უკრაინისა და ბელორუსიის ოლქებისა და ახალი მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობის ჩაუთვლელად). მარცვლეულ კულტურათა საერთო მოსავალი უახლოვდება 7 მილიარდ ფუთს.

მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები გატაცებული არიან კეთილშობილი მისწრაფებით მთელი თავისი ძალები და ცოდნა მოახმარონ სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას. ახალი გამარჯვებებით აღინიშნა განვითარება სტახანოვური მოძრაობისა, რომელმაც უკვე მოიცვა მუშათა კლასის ერთი მესამედი და სოფლის მილიონობით მშრომელნი.

მეორე იმპერიალისტური ომის ვითარებაში, რომელიც უფრო-და-უფრო ფართოვდება, ჩვენი სამშობლოსათვის გაიზარდა ომის საფრთხე. ჩვენ უნდა დავამზადოთ კიდევ უფრო მეტი სამრეწველო პროდუქცია, ყოველმხრივ უნდა განვამტკიცოთ სსრ კავშირის თავდაცვითი და სამეურნეო ძლიერება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება ახალი დიდი წინწადგმული ნაბიჯია საბჭოთა კავშირის თავდაცვითი და სამეურნეო ძლიერების განმტკიცების, სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. ბრძანებულების განხორციელება უკვე იძლევა შედეგებს. მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ემჩნევა სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა. ამასთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულების საფუძველზე ჩაღდება შეუპოვარი ბრძოლა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ და ინჟინრების, ტექნიკოსების, ოსტატების, მოსამსახურეებისა და კვალიფიციური მუშების ერთი საწარმოდან და დაწესებულებიდან მეორეში სავალდებულო გადაყვანის წესის შესახებ.

ყველაფერი ეს კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს სსრ კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ პოზიციებს კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე.

სტალინური კონსტიტუციის მეოთხე წელს ჩვენი ქვეყანა დღესასწაულობს იმ მომენტში, როდესაც ახალი მოკავშირე რესპუბლიკების ხალხები ემზადებიან თავიანთი დიადი უფლების განხორციელებისათვის — ერთიანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში—სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში თავიანთი საუკეთესო შვილების არჩევისათვის. მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებიდან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩევნები დანიშნულია 1941 წლის 12 იანვრისათვის.

ფართოდ გაიშალა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანია კარელიის სს რესპუბლიკაში და უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დასავლეთ ოლქებში.

ეს საარჩევნო კამპანია კიდევ უფრო ამაღლებს განთავისუფლებულ ხალხთა პოლიტიკურ აქტივობას, ამრავლებს სოციალისტური წყობილების წარმატებებს.

კანონიერი სიამაყის გრძნობით ავლებს თვალს საბჭოთა ხალხი თავის წარსულს, რწმენით და გაბედულად უყურებს მომავალს.

კაპიტალისტურ მსოფლიოში ბობოქრობს ახალი იმპერიალისტური ომის ხანძარი. ქალაქები ცეცხლშია გახვეული, ილუპება თაობათა შრომა. ხოლო სოციალიზმის სამყარო კიდევ უფრო მტკიცე და ურყევი გახდა.

სტალინურმა კონსტიტუციამ „განამტკიცა ის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, რომ სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში, სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობით გადასვლის ხანაში...“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი გვ. 421).

სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ სსრ კავშირის ხალხები, ყოველდღე განამტკიცებენ რა თავიანთ სოციალისტურ სახელმწიფოს, სულ უფრო-და-უფრო ამაღლებენ მის სამეურნეო და სამხედრო ძლიერებას, აშენებენ უკლასო საზოგადოებას. საბჭოთა ქვეყნის ხალხები დარწმუნებული არიან თავის ძალებში, ვინაიდან მათ იციან, რომ ისინი კომუნიზმისაკენ მიჰყავს ბოლშევიკურ პარტიას ბრძენი, დიდი სტალინის მეთაურობით.

სტალინური კონსტიტუცია მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია. იგი მოწმობს იმას, „რომ ის, რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობენ ოცნებას მილიონობით პატიოსანი ადამიანები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — უკვე განხორციელებულია სსრ კავშირში...“ და „რომ ის, რაც განხორციელებულია სსრ კავშირში, სავსებით შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიაც“ (სტალინი).

სტალინური კონსტიტუციის დროშით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის ხალხები მტკიცედ მიდიან ახალი გამარჯვებებისაკენ, კომუნიზმისაკენ.

გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას!

„უუს-ილმი“

მიხეილ ადამსონი სტოვებდა მშობლიურ ესტონეთს. ცრემლით ეთხოვებოდა ნაცნობ ადგილებს და მიდიოდა შორს; სად, თვითონაც არ იცოდა. ქვეყანა დიდია, სადმე თავს მაინც გამოიკვებს კაცი,—ფიქრობდა. ეს მიწა თუმცა ცრემლით და ტანჯვით იყო სავსე, მაგრამ მაინც მშობლიური მიწა იყო. უჭირდა მისი სამუდამოდ მიტოვება, მაგრამ მეტი გზა არ იყო; შიმშილით სიკვდილი ელოდა უმიწო და უუფლებო კაცს. მიწა იყო ესტონეთში, მაგრამ არა მისთვის...

...ჰანც ლემკესაც მიეტოვებინა ყველაფერი და დღიური ლუკმაპურის საძებრად წამოსულიყო.

მიწას იძებდნენ ფეხის ადგმიდანვე და ეგონათ იპოვეს იგი სადღაც შორს. შავი ზღვის სანაპიროზე, მაგრამ მოსტყუვდნენ. მიწას იქაც ჰყავდა პატრონი... ადგილობრივი ფეოდალები.

თავისუფალი მიწის საპოვნელად გადმოიხვეწნენ ისინი ესტონეთიდან, მაგრამ თავისუფალი მიწა, გლეხკაცს რომ ზედ ფეხი ჩოედგა, იმ დროს არ იყო.

○

მდინარე კოდორის ნაპირას, მის ნოყიერ დაბლობებში, აფხაზეთში ჰყვავის და იფურჩქნება ესტონური სოფელი — ესტონკა და მისი კოლმეურნეობა, რომლისთვისაც აქაურებს „უუს-ილმი“ (ახალი ქვეყანა) დაურქმევიათ.

ეს კოლმეურნეობა, რომელშიც 95 ესტონური ოჯახია გაერთიანებული, წლითი-წლობით იზრდება და ფართოვდება. ოდესღაც ღატაკი ესტონელები ახლა შეძლებულად ცხოვრობენ. სოფელმა სახე იცვალა. ძველი ქოხების ნაცვლად ახალი სახლები—აგურით ნაშენი, კირით შელესილი და შეთეთრებული სახლები აიგეს გლეხებმა.

იაკობ კოხის ოჯახს აქებენ სოფელში, როგორც მშრომელ ოჯახს. და მართლაც მან გასულ წელს 1.464 შრომადღე გამოიმუშავა. მარტო ფულად იაკობ კოხმა 10.248 მანეთი მიიღო. წელს კი 10 თვეში ამ ოჯახმა 1.175 შრომადღე გამოიმუშავა.

ცუდი სახლი არ ედგა იაკობს, მაგრამ ოჯახმა მაინც გადასწყვიტა უკეთესი სახლის აგება და აი გასულ წელს კიდეც შეისრულა წადილი. ახლა მისი სახლი ერთერთი საუკეთესო სახლია მთელ სოფელში. პირველი შემთხვევაა იაკობის ცხოვრებაში, რომ ასეთი დიდი საქმე მოფიქრებისთანავე შეესრულებინოს. წინათ ხომ მუდამ სახლის აგების ფიქრში იყო, მაგრამ როგორ აუწევდა ღატაკი კაცი ამოდენა ტვირთს?!

ჰენრიხ კოხიც თავდადებული კოლმეურნეა. მისმა ოჯახმა გასულ წელს 993 შრომადღის გამომუშავება შესძლო. მარტო მან 504 დღე გამოიმუშავა. ჰენრიხმაც აიგო ახალი სახლი. შეძლებულ ცხოვრებაში ერთიმეორეს ცალს არ უდებენ კოხები. და არა მარტო კოხები, ადამსონები, ლემკეები, ლეიზინგები, კუტმანები, ონნერები, ზუიცები და სხვები. ახლა მათ აქვთ მიწა, კოლმეურნეობა, გლეხკაცის ბედნიერება ხომ მიწიდან და ამ მიწაზე მოწყობილი კოლმეურნეული ცხოვრებიდან გამომდინარეობს!

ესტონკაში უკანასკნელი მცირე დროის განმავლობაში 25-ზე მეტმა კოლმეურნეობამ აიგო ახალი სახლი, ყველა კოლმეურნულ ოჯახს ჰყავს საკუთარი ძროხა.

კოლმეურნეობა დიდი წარმატებით აწარმოებს ახალი კულტურების ათვისებას. ესტონელთათვის წინათ უცხო იყო ჩაი და ციტრუსი. ახლა კი კოლმეურნეობას ეს კულტურები გაშენებული აქვს 61 ჰექტარზე. მომავალი წლიდან ის ნაყოფს მოისხამს, რაც ერთიორად გაზრდის კოლმეურნეთა შემოსავლიანობას. აქ დიდ ყურადღებას აქცევენ თამბაქოსაც და მარცვლეულ კულტურებს.

კოლმეურნეობის შემოსავლიანობა წლითიწლობით მატულობს. 1937 წელს იგი 165.882 მანეთს უდრიდა, 1938 წელს—440.212 მანეთს. გასულ წელს 576.376 მან., ხოლო მიმდინარე წელს—730.000 მანეთს გადააჭარბებს.

კოლმეურნეობის 4 სასაქონლო ფერმა, რომლებშიც 215 სული პირუტყვია, უკვე იწყებს შემოსავლის მოცემას.

ერთი შვილი ჰყავს მიხეილ ადამსონს. ალბერტი დაარქვა სახელად. ჰანც ლემკეს კი ქალი გაუჩნდა აქ, ამ მიწაზე. წვალებით ზრდიდნენ ადამსონები და ლემკეები თავიანთ შვილებს. ბნელ დროში დაბადებულნი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღიზარდნენ კარგ ახალგაზრდებად. ადრე უნდოდა მიხეილს ალბერტის დაქორწინება, მაგრამ ვერ გაებედათ ვერც დედმამას, ვერც შვილს. ოჯახს რჩენა უნდა, ვინ იცის, იქნებ ვერ შევძლოო,—მერყეობდა ალბერტი.

მაგრამ ეს მერყეობა გაიფანტა მას შემდეგ, რაც ადამსონები კოლმეურნეობაში შევიდნენ და შეძლებულად იწყეს ცხოვრება. ალბერტმა და ლემკეს ქალიშვილმა—სალმემ შეკრეს ახალი ოჯახი. დამოყვრდნენ ძველი მეგობრები, ერთი ბედის ადამიანები მიხეილ ადამსონი და ჰანც ლემკე. რა სიხარულით შესცქერიან ახლა ეს მოხუცები თავიანთ პატარა შვილიშვილს ერნას. რამდენი სიხარულის მოფერება აქვს ამ პატარა გოგოს! ეს მოხუცნიც ყოფილან ერთდროს პატარა შვილიშვილები, უფათურებიათ ხელი ბაბუას წვერებში, მაგრამ არცერთს არ უგრძვნია იმდენი სიხარული, რამდენსაც გრძნობს პატარა ერნა.

ალბერტმა კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ აიგო ახალი სახლი, მაგრამ, რადგაც 6-7 წლის შემდეგ ეს სახლი უკვე „მოძველდა“, ველარ აკმაყოფილებს შეძლებული კოლმეურნის ოჯახს; და აი, ალბერტიც ფიქრობს ახალ სახლზე. მან უკვე მოიმარაგა საჭირო მასალა...

საბჭოთა ხელისუფლებამ, სტალინურმა კონსტიტუციამ აღმოფხვრა შუღლი ერთა შორის, მოსპო ჩაგვრა და თანასწორი უფლებით შემოსა საბჭოთა მიწაზე მცხოვრები ყველა ხალხი. კოლმეურნე იოჰანეს კუზმანმა ამასწინათ ცოლად შეირთო რუსი კოლმეურნე, ესტონელი ერნა ონნერი ცოლად გაჰყვა სომეხ სურენ ლუსპარიანს. და ამ ფაქტებს მხოლოდ საერთო მოწონებით შეხვდა ესტონკის ყველა მშრომელი, ღრმა მოხუცებიც კი ესწრებოდნენ ქორწილს და სიხარულით სვამდნენ ახალი ოჯახების სადღეგრძელოს.

საბჭოთა ესტონეთის მშრომელები დიდად არიან დაინტერესებულნი აფხაზეთში მყოფი ესტონელების ცხოვრებით. ამას მოწმობენ ის მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებიც კოლმეურნეობა „უუს-ილმში“ მოდის ესტონეთის ყველა კუთხიდან. ისინი კითხულობენ, თუ როგორ მოაწყეს აქ ესტონელებმა საკოლმეურნეო ცხოვრება, როგორია მათი ზრდა. მიხკელ ტრუმანმა ამასწინათ მიიღო წერილი თავისი დისაგან. ის სწერს იმ დიდი სიხარულის შესახებ, რასაც განიცდიან ახლა მთელი საბჭოთა ესტონეთის მშრომელები.

○

მიწა არ ჰქონდა ესტონელ მშრომელ გლეხს. ამიტომ სტოვებდა იგი მშობელ მხარეს და ვეებერთელა რუსეთში ეძებდა პურს.

მიწას არ შორდებოდა მშრომელი გლეხის ფიქრი. მიწა იყო მისი ოცნება...

და აი, ასრულდა ეს ოცნება. სტალინურმა კონსტიტუციამ მშრომელ ხალხს მისცა მიწა. კოლმეურნეობა „უუს-ილმს“ სტალინური კონსტიტუციის ძალით სამუდამო სარგებლობაში გადაეცა 821 ჰექტარი მიწა, კოლმეურნეობის შეძლებულობის და სიუხვის წყარო.

ზ. მერკვილაძე.

სოფ. ესტონკა, აფხაზეთი.

თბილისი. რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლა. სურათზე: ფრიადოსანი კომკავშირელების ჯგუფი ფიზიკურ კაბინეტში (მარცხნიდან მარჯვნივ): მ. კანდელაკი, ს. ელიზბარაშვილი, თ. შერაზადაშვილი და ა. ორჯონიკიძე (დაფასთან).

ფოტო გ. ხოცოვიანისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მოვალეობისა და ღირსების საქმე

სტალინურ კონსტიტუციაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი, რომ „შრომა სსრ კავშირში წარმოადგენს შრომისუნარიანი თვითეული მოქალაქის მოვალეობისა და ღირსების საქმეს შემდეგი პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის არც სჭამს“.

და შემდეგ: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, ესე იგი გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით“.

მართლაც, მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ადამიანთა ხვედრია ეს მეტად საპატიო და კანონით განმტკიცებული უფლება. მხოლოდ სტალინურ ეპოქაში შეიძლება იშრომო თავისუფლად, ისწავლო, დაისვენო და იცხოვრო ბედნიერად, ხალისიანად. მხოლოდ ჩვენ დროში დაფასდა შრომა, შეიმოსა დიდების შარავანდედით, გადაიქცა სახელის, გმირობის, სიმამაცისა და ღირსების საქმედ.

უნებლიეთ გახსენდება მეორე იმპერიალისტური ომის ხანძარში გახვეული კაპიტალისტური სამყაროს მშრომელთა განაწამები და ბედკრული ცხოვრება. უმუშევრობა და სილატაკე, შიმშილი და აწიოკება, ფაბრიკებისა და ქარხნების კარდაკარ სიარული სამუშაოს საძებნელად, ხვალინდელი დღის შიში — აი რა არის მათი ხვედრი.

ჩვენში კი ეს, სამუდამოდ და მოუბრუნებლად, წარსულს ჩაბარდა. ჩვენს ქვეყანაში შრომა და მუშაობა მიმზიდველია, წარმტაცი, პარტიისა და მთავრობის მიერ დიდად დაფასებული. ამას სხვა რომ არაფერი იყოს, ჩვენი ქარხნის მაგალითზე ვხედავ. განა პატიოსანმა და თავდადებულმა შრომამ არ გახადა საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებად ამხ. მ. გეწაძე, ი. დევსურაშვილი, მ. გუგულაშვილი, ა. ილურიძე? განა სტახანოვური, კეთილსინდისიერი შრომით არ გახდა მჭედელი ამხ. დ. ჭიჭინაძე ჩვენი ქარხნის უფროსი? იგი ხომ ახლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ორგზის ორდენოსანია.

ორი სიტყვა იმაზე, თუ როგორ ვხვდები სტალინური კონსტიტუციის დღეს. ელექტროშედუღების საქმეს ისე ვარ დაუფლებული, რომ ორთქლმავლის ცილინდრების შედუღების გეგმას ყოველთვის 400-500 პროცენტით ვასრულებ. წლიური გეგმა ჯერ კიდევ პირველი მაისისათვის შევასრულე. საშუალოდ თვეში 2.500-3.000 მანეთს ვღებულობ. ამავე დროს მაქვს ოთხი რაციონალური წინადადება, რომლებიც დიდად აუმჯობესებენ ცილინდრის შედუღების ტექნოლოგიურ პროცესს. მარტო ერთი წინადადება ქარხანას წლიურად 90.000 მანეთის ეკონომიას აძლევს. ჩემი გამომუშავება განსაკუთრებით გაიზარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ისტორიული ბრძანებულების შემდეგ.

ჭეშმარიტად, შრომა სოციალიზმის ქვეყანაში სიმამაცის, გმირობის, სახელისა და ღირსების საქმეა.

ზ. ნადირაძე

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველი, ორდენოსანი.

მიწა და შრომის უფლება

„მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უჭირავთ, ემაგრება მათ უსასყიდლო და უვადო სარგებლობაში, ესე იგი სამუდამოდ“, — ასე ლაპარაკობს სტალინური კონსტიტუციის მე-8 მუხლი.

„სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, ესე იგი გარანტირებული სამუშაოს მიღების უფლება მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად.

შრომის უფლება უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციით, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალთა განუხრელი ზრდით, სამეურნეო კრიზისების შესაძლებლობის აღკვეთით და უმუშევრობის ლიკვიდაციით“, — ასე ლაპარაკობს სტალინური კონსტიტუციის მე-118 მუხლი. ამიტომ ასე ზღაპრულ წალკოტად გადაუქცევიათ აჭარელ კოლმეურნეებს მიწა, რომელიც მას უვადო სარგებლობაში მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ.

ბეგებისა, ხოჯებისა და მოლებისაგან ჩამორთმეულ ათიათასობით ჰექტარ მიწას ჰფლობენ აჭარელი კოლმეურნეები და სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე ჰქმნიან დოვლათსა და ბარაქას თავიანთი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

5.391 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, 7.725 ჰექტარი ციტრუსოვანი ნარგავები, 3.000 ჰექტარი ტუნგო, 885 ჰექტარი თამბაქო, 341 ჰექტარი ვენახი, ხეხილი და მრავალი სხვა კულტურა, მოვლილი და გახარებული კოლმეურნეთა მადლიანი მარჯვენით, პატიოსანი სტახანოვური შრომით, კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების უშრეტ წყაროდ გადაქცეულან.

214 სასოფლო-სამეურნეო არტელში გაერთიანებულმა კოლმეურნეებმა ასე გაამდიდრეს და გაალამაზეს ეს მხარე. ყოველწლობით მრავლდებიან მილიონერი კოლმეურნეობანი. დღეს მზიან საბჭოთა აჭარაში რვა მილიონერი კოლმეურნეობაა, რომელთა შორის ყველაზე მეტი სიმდიდრე მოუხვეჭია ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას. მან შარშან მიიღო 3.113.000 მანეთი შემოსავალი, ხოლო წელს ღებულობს 3.300.000 მანეთს.

სტალინური კონსტიტუციით შრომისუფლებამოსილი კოლმეურნეები სტახანოვური მუშაობით აიძულებენ უვადო სარგებლობაში მიღებულ მიწას მისცეს მათ რაც შეიძლება მეტი მოსავალი. აჭარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს სოციალისტურ ქვეყანას მისცეს 10.498.908 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო რაც შეეხება ციტრუსების ნაყოფს, წელს ისინი სახელმწიფოს აბარებენ 333.776.700 ცალს.

კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდა ასეთ სურათს იძლევა: 1932 წელს აჭარის კოლმეურნეობათა შემოსავალი 1.978.300 მანეთს უდრიდა, შარშან კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალმა 32.551.600 მანეთს მიაღწია, ხოლო წელს კოლმეურნეობები ღებულობენ 41.500.000 მანეთს.

შედარებით ახალგაზრდა მილიონერია ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა. მისი საერთო შემოსავალი შარშან 1.562.400 მანეთს უდრიდა, წელს კი მოლოტოველები 1.765.000 მანეთ შემოსავალს მოელიან.

ეს კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაშია მოძმე საბჭოთა უკრაინის კამენეც-პოდოლსკის ოლქის სოფელ ვიტოვეცის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობასთან და საამაყო მაჩვენებლებს აღწევს ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობის გადიდებაში. ეს კოლმეურნეობა, რომელიც წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო, ახალი საამაყო მაჩვენებლებით წარსდგება მომავალი წლის გამოფენაზე. მან საშუალოდ ჰექტარზე ჩაის მოსავლიანობა აიყვანა 4.535 კილოგრამამდე. კოლმეურნეობის მეცხრე ბრიგადამ, რომელსაც ამხ. მ. კონცელიძე მეთაურობს, საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 5.742 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამხ. ზ. რეაზ-ოღლის ბრიგადამ ჰექტარზე ჩაის საშუალო მოსავლიანობა 4.735 კილოგრამამდე აიყვანა. კოლმეურნეები გულმოდგინედ შრომობენ იმისათვის, რომ მესამე ხუთწლედის ბოლოს 6.000 კილოგრამამდე აიყვანონ ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. მათ ცალკე გამოუყვიათ 10 ჰექტარი ფართობი იმისათვის, რომ მესამე სტალინური ხუთწლედის დამთავრება სარეკორდო მოსავლის მიღებით აღნიშნონ და თვითეულ ჰექტარზე ამ 10 ჰექტარიდან მოჰკრიფონ ათ-ათიათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ასევე ახალგაზრდა მილიონერია ბათუმის რაიონის კაპანდიბის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“. ციტრუსოვანთა ნაყოფის მაღალი მოსავლის მიღებისათვის შარშან ეს კოლმეურნეობა მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა პირველი ხარისხის დიპლომით დააჯილდოვა. შარშან კოლმეურნეობამ თვითეულ ძირ მანდარინის ხეზე მიიღო 628 ცალი ნაყოფი, წელს ღებულობს 726 ცალს.

შარშან ეს კოლმეურნეობა ძალიან დაუახლოვდა მილიონ მანეთ შემოსავალს, წელს კი მისი საერთო შემოსავალი 1.200.000 მანეთს გადააჭარბებს. კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები არიან: აიშე ფარტენაძე, ფადიმე თურმანიძე, ბრიგადირი ოსმან ფარტენაძე, მამედ ფარტენაძე, ომერ ზაქარაძე.

ყოფილი „ჯამე“, ყურანის შხამის მთესველი ჩვენს თვისტომ ძმებს შორის, „ჯამე“, სადაც ფანატიზმით შეპყრობილი ისლამის მოციქულები „ულუმი — დინით“ უჩლუნგებდნენ გონებას დედის მკერდისაგან — საქართველოსაგან მოწყვეტილ შვილებს, — დღეს კოლმეურნეობის გამგეობას თავის სამუშაო შენობად გადაუქცევია. დღეს ამ „ჯამეში“ მოლას გამაყრუებელი ყვირილი კი არ ისმის, არამედ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ჯემალ დიასამიძე ბრიგადირებს დავალებებს აძლევს, რომ დროზე და უდანაკარგოდ მოჰკრიფონ ციტრუსები, დროზე და პირნათლად შეასრულონ მოვალეობა სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე.

ჩაის ჩაბარების გეგმა ბრწყინვალედ შეასრულეს. ახლა ციტრუსოვან ნაყოფს ეზიდებიან პლანტაციებიდან. „ჯამეს“ წინ სასწორი დგას, ჯემალი ციბრუტივით ტრიალებს, რომ ტრანსპორტი ჩქარა გაათავისუფლოს, ქარვისებური ნაყოფით სავსე ყუთებს ეზიდება. პლანტაციებში უხვი მოსავალი დაუკრეფიათ და მას გამოზიდვა და ჩაბარება უნდა.

„ჯამეს“ გვერდით ლამაზი სკოლა აუგიათ. აქ სწავლობენ კოლმეურნეთა შვილები, აქ ეცნობიან ისინი სოციალიზმის ქვეყნის ისტორიას.

„სსრ კავშირში ხორციელდება სოციალიზმის პრინციპი: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით“.

სტალინური კონსტიტუციით გაბედნიერებული აჭარელი კოლმეურნეები შეძლებულად ცხოვრობენ და სტკბებიან სტახანოვური შრომის მონაგარით. მთელ თავის უნარს ისინი კოლმეურნეობის განმტკიცებას ახმარენ. და ღებულობენ შრომის მიხედვით.

რა შემოაკლდება ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრის ს. რუსიოღლის ოჯახს, რომელსაც წელს პირველ ნოემბრამდე გამომუშავებული აქვს 1.800 შრომადღე. რუსიოღლის ოჯახი მიიღებს 28 ათას მანეთზე მეტს ფულად, 70 ფუთ სიმინდსა და ბრინჯს. ან კიდევ ამავე რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის გ. პავლიდის ოჯახს! კოლმეურნე გ. პავლიდის ოჯახს ამა წლის პირველ ნოემბრამდე 1.727 შრომადღე გამოუმუშავებია. იგი ღებულობს 29.014 მანეთს ფულად, თითქმის ათი-ათასი მანეთით მეტს, ვიდრე შარშან მიიღო.

და რამდენია ასეთი საამაყო ადამიანი! რამდენია ისეთი კოლმეურნეობა, რომელმაც შესანიშნავად გამოიყენა სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები.

მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მიმღებთა მრავალრიცხოვნობა მჭერმეტყველურად ღაღადებს ამას.

1940 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე აჭარის საბჭოთა რესპუბლიკიდან მონაწილეობდა 15 საბჭოთა მეურნეობა, 19 კოლმეურნეობა და სოფლის მეურნეობის 781 მოწინავე ადამიანი.

დღეს სტალინური მზით გასხივოსნებული საბჭოთა აჭარა ისე კეკლუცად გამოიყურება, გეგონებათ, მას არასოდეს არავისი ტლანქი ხელი არ შეხებიაო. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოში იშვიათად თუ მოიპოვება ისეთი კუთხე, რომელსაც ამოდენა დარბევა და აოხრება განეცადოს.

აჭარელი მშრომელი ხალხის ტანჯვას მხოლოდ მაშინ მოეღო ბოლო, როცა ბათუმში აჯანყებულ ხალხთან ერთად შევიდა წითელი არმია და დიადი ოქტომბრის წითელი დროშა აფრიალდა.

ეს იყო 1921 წლის 18 მარტს და მას შემდეგ იქცა საბჭოთა აჭარა ასეთ კეკლუც, მომჯადოებელ, ათასფრად აფერადებულ მხარედ. დიდმა სტალინმა გამოიყვანა აჭარის და მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელი ხალხი თვითმპყრობელობის კარიბჭების შესალეწად, მან მოუპოვა მას თავისუფლება, მან ჩაუწერა კონსტიტუციაში ეს უფლება, მას მიჰყავს ის და მთელი საბჭოთა კავშირის გმირი ხალხი კომუნიზმისაკენ.

გ. გიორგაძე

სოფ. მახინჯაურის (ბათუმის რაიონი) კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველები (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. ფადიმე შარაშიძე და ასიე ბაგრატ-ოღლი ჰკრეფენ მანდარინს.

ვ. ეგნატაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი

დიადი სტალინური კონსტიტუცია

დღეს, 5 დეკემბერს ოთხი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი, რომელიც შეიმუშავა სპეციალურმა საკონსტიტუციო კომისიამ დიდი სტალინის თავმჯდომარეობითა და მთავარი მონაწილეობით.

საბჭოთა კავშირის პირველი, 1924 წლის კონსტიტუცია შეიქმნა „ნეპის“—ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ იწყნარებდა კაპიტალიზმის ელემენტებს სოციალიზმის განვითარებასთან ერთად იმ ვარაუდით, რომ მეურნეობის ორი სისტემის ბრძოლაში განადგურდებოდა კაპიტალიზმის პოზიციები და დამთავრდებოდა გამარჯვება სოციალისტური სისტემისა.

1924 წლის კონსტიტუციის შექმნის დროს სახარბიელო სურათს არ წარმოადგენდა ძველ, ჩამორჩენილსა და ღარიბ ტექნიკაზე დაფუძნებული ჩვენი მრეწველობა, რომლის პროდუქციას ომის წინადროის დონემდის ვერ მიეღწია.

უფრო უარეს მდგომარეობაში იყო სოფლის მეურნეობა. კულაკობა ჯერ კიდევ თვალსაჩინო ძალას შეადგენდა. სოფლად ბატონობდა წვრილი ერთპიროვნული მეურნეობა ჩამორჩენილი ტექნიკით. კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა აქა-იქ, კანტიკუნტად თუ მოიძებნოდა და სახალხო მეურნეობისათვის მას სერიოზული მნიშვნელობა არა ჰქონდა. მაშინ ლაპარაკი იყო კულაკობის ლიკვიდაციაზე კი არა, არამედ მხოლოდ მის შეზღუდვაზე.

ასეთივე მდგომარეობა იყო საქონელბრუნვის დარგშიც, სადაც სოციალისტური მეურნეობის სექტორი დაახლოებით 50 პროცენტს შეადგენდა.

მაგრამ ჩვენი ცხოვრება უჩვეულო ტემპებით ვითარდებოდა.

და აი ახალი კონსტიტუციის შექმნის დროისათვის, 1936 წლისათვის სრულიად შეიცვალა საბჭოთა კავშირის ეკონომიკა და მის ნიადაგზე შექმნილი კლასობრივი სტრუქტურა ჩვენი საზოგადოებისა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სოციალისტურმა სისტემამ სრული გამარჯვება მოიპოვა, კაპიტალისტური ელემენტები ერთხელ და სამუდამოდ გაანადგურა და ეკონომიკის სარბიელიდან განდევნა.

სოციალისტურმა მრეწველობამ მძლავრად გაშალა ფრთები და ომამდელ დონეს ერთი-შვიდად გადააჭარბა.

სოფლის მეურნეობა ახალი ტექნიკით შეიარაღდა; გაბატონდა მთელი მსოფლიოს ყველაზე უფრო მსხვილი მექანიზებული სოციალისტური წარმოება და ჩვენი ქვეყნის ველ-მინდორი მოიფინა კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობებით. კულაკობა, როგორც კლასი, მოისპო. ერთპიროვნული მეურნეობის როლი სრულიად უმნიშვნელო გახდა.

საქონელბრუნვის დარგიც მთლიანად მოექცა სახელმწიფოს, კოოპერაციისა და კოლმეურნეობათა ხელში.

ეკონომიკის ცვლილებასთან ერთად შეიცვალა მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობაც. ექსპლოატატორი კლასები საბოლოოდ მოისპნენ.

„დარჩა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — მუშათა კლასი
დარჩა კლასი გლეხობისა
დარჩა ინტელიგენცია“.

მათ, საბჭოთა კავშირის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ ღრმა ცვლილება განიცადეს სოციალისტური მშენებლობის წლების მანძილზე. ჩვენი ქვეყნის მშრომელები გადაიქცნენ წარმოების ყველა იარაღისა და საშუალების მფლობელებად, სოციალისტური სამშობლოს მშენებლებად.

ეკონომიკისა და კლასობრივი შემადგენლობის ცვლილების შედეგად 1936 წლიდან ჩვენ გვაქვს სტალინური კონსტიტუცია, რომლის თანახმად საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, ხოლო ეკონომიურ საფუძველს — მეურნეობის სოციალისტური სისტემა და წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება.

ჩვენი კონსტიტუციის დამახასიათებელი თავისებურება, სხვათა შორის, ისიც არის, რომ, ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, ჩვენს საზოგადოებაში აღარ არსებობენ ერთიმეორის წინააღმდეგ დაპირდაპირებული კლასები, რომ საზოგადოება შესდგება ორი, მეგობრული კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან, რომ ხელისუფლების სათავეში სდგანან სწორედ ეს მშრომელი კლასები, რომ საზოგადოებას ხელმძღვანელობას უწევს მუშათა კლასი, როგორც მოწინავე კლასი.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, ჩვენს კონსტიტუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული ყველა ერისა და რასის სრული სამეურნეო, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული თანასწორობა.

სტალინური კონსტიტუცია ერთადერთია მთელს მსოფლიოში თანამიმდევრონ და სრული დემოკრატიზმის თვალსაზრისითაც. ჩვენი კონსტიტუციით ყველა მოქალაქეს სრულიად თანაბარი უფლებანი აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში.

„არა ქონებრივი მდგომარეობა, —ამბობს ამხანაგი სტალინი,—არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითეული მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში“.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ სტალინური კონსტიტუცია მხოლოდ კი არ აღნუსხავს მოქალაქის ამა თუ იმ დემოკრატიულ უფლებასა თუ თავისუფლებას, არამედ საკანონმდებლო წესით უზრუნველჰყოფს კიდეც გარკვეული მატერიალური საშუალებებით.

ეს ადვილად გასაგებიც არის, რადგან წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნების უშინაარსო და ყალბი დემოკრატიზმისა, რომელიც არსებობს მხოლოდ და მხოლოდ შეძლებული, გაბატონებული უმცირესობისათვის, ჩვენი დემოკრატიზმი არის სოციალისტური დემოკრატიზმი, დემოკრატიზმი მუშებისათვის, დემოკრატიზმი გლეხებისათვის, დემოკრატიზმი ინტელიგენციისათვის, მთელი მშრომელი ხალხისათვის.

მაგრამ არ არსებობს უფლება უმოვალეობოდ. ამიტომ სტალინური კონსტიტუცია მარტო უფლებებს კი არ ანიჭებს მოქალაქეებს, არამედ მკაფიოდ გარკვეულს სერიოზულ მოვალეობასაც აკისრებს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქენი ვალდებულნი არიან მტკიცედ ასრულებდნენ კანონებს, იცავდნენ შრომის დისციპლინას, პატიოსნად ეკიდებოდნენ საზოგადოებრივ მოვალეობას, უფრთხილდებოდნენ და ანმტკიცებდნენ საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებას, იცავდნენ სოციალისტურ სამშობლოს.

ოთხი წელიწადი შესრულდა, რაც სტალინური კონსტიტუცია ძალაშია შესული. ამ ოთხი წლის მანძილზე ბევრი რამ მოხდა და ბევრი რამ შეიცვალა საბჭოთა კავშირშიც და მთელს მსოფლიოშიც.

კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა და გაიზარდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერება, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა საბჭოთა კავშირის ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, კიდევ უფრო მეტად აყვავდა მოძმე რესპუბლიკათა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, კიდევ უფრო მტკიცე ნაბიჯით და გარკვეული გზით წარიმართა ჩვენი საერთო სამშობლოს ძლევამოსილი მსვლელობა ახალ-ახალი პოზიციების დასაპყრობად — სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისათვის და კომუნისტურ საზოგადოებაზე თანდათანობით გადასვლისათვის.

მაგრამ სტალინური კონსტიტუციის მზე თავის სხივებს მარტო საბჭოთა კავშირის მიწაწყალს არა ჰფენს. იგი ანდამატის ძალით იზიდავს ჩვენი სამშობლოს გადაღმა ხალხებსაც და უჩვენებს მათ, რომ „ის, — ამხანაგ სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, — რაზედაც ოცნებობდნენ და განაგრძობენ ოცნებას პატიოსან ადამიანთა მილიონები კაპიტალისტურ ქვეყნებში,—უკვე განხორციელებულია საბჭოთა კავშირში... ის, რაც განხორციელებულია საბჭოთა კავშირში, მთლიანად შეიძლება განხორციელდეს სხვა ქვეყნებშიც“.

თავის მშობლიურ წიაღს დაუბრუნდნენ დასავლეთი უკრაინა და დასავლეთი ბელორუსია, შემოგვიერთდა ჩრდილო ბუკოვინა, დაგვიბრუნდა ძალმომრეობით მოტაცებული ბესარაბია, დამყარდა საბჭოთა წყობილება ლიტვასა, ლატვიასა და ესტონეთში.

ჩვენმა სამეურნეო და სამხედრო ძლიერებამ ამ უდიდესი ისტორიული აქტების მოხდენით თვალსაჩინოდ იმატა, ტერიტორია უფრო გაგვიფართოვდა, ჩვენს მოსახლეობას 23 მილიონი ადამიანი შეემატა, ჩვენს სახელოვან ბალტიის ფლოტს, რომელიც ფინეთის ყურის ვიწრო კუთხის ფარგლებით იყო შემოზღუდული, ზრდისა, განვითარებისა და მუშაობის ფართო სარბიელი გადაეშალა.

კაპიტალისტური მსოფლიო იძულებული გახდა უკან დაეხია და შევიწროებულიყო. ჩვენი სამშობლოს საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

და საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკათა დიდ ოჯახში ახლად ფეხშემოდგმულმა ხალხებმა პირველად ამოისუნთქეს შვებით, პირველად იგრძნეს არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული თავისუფლებაც, რადგან კაპიტალისტურ მსოფლიოში პატარა სახელმწიფოების, პატარა ერების დამოუკიდებლობა უშნოდ შეთითხნილი მითია, მოჭორილი ზღაპარი, და იგი, დამოუკიდებლობა ერებისა, მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირშია ხორცშესხმული.

ოთხი წელიწადი შესრულდა, რაც სტალინური კონსტიტუცია მოქმედებაშია. და ამ ოთხი წლის მანძილზე, თუ ერთი მხრით საბჭოთა კავშირი შეუჩერებლივ წინ მიემართება და თავისი ცხოვრების ყოველ დარგს ანვითარებს, მეორე მხრით კაპიტალისტურ მსოფლიოში ყველაფერი უკუღმა ბრუნავს და, როგორც იტყვიან, „მონასტერია არეული“.

მთელი კაპიტალისტური მსოფლიო ცეცხლის ალშია გახვეული. ომის ხანძარი უკვე რამდენიმე წელიწადია ვიზგიზებს და ახალ-ახალ მსხვერპლს ითრევს თავის ორომტრიალში. უხეშად ირღვევა ყოველგვარი ნორმა თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ შექმნილი საერთაშორისო სამართლისაც კი. ნადგურდება და ნაცარმტვრად იქცევა ასეული და ათასეული წლების მანძილზე შექმნილი დიდი კულტურული ღირებულებანი, ისპობა ადამიანის შრომით შექმნილი დოვლათი. მიწასთან სწორდება ქარხნები, ფაბრიკები, საწარმონი, საცხოვრებელი სახლები, მთელი სოფლები. დაბები, ქალაქები, ქვეყნებიც კი.

ტყვიასა და ყუმბარას უშენენ და ნანგრევებქვეშ მარხავენ უიარაღო, უმწეო მშვიდობიან ხალხს, მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს.

ძველი, უსამართლო სამყარო განწირულია. იგი თავის საშოშივე წარმოშობილს, ძალმომრეობისა და შრომის ექსპლოატაციის ნიადაგზე შექმნილს ბურჟუაზიულს, ეგრეთწოდებულ ცივილიზაციას და მის საფუძვლებს თვითონვე სპობს და ანადგურებს.

ჩვენ კი სწორედ ამ დროს გვმართებს გაასკეცებული სიფხიზლე და მხნეობა, რომ ჩვენი საზღვრების გადაღმა დანთებული ცეცხლის ალი არ მოსწვდეს ჩვენი სამშობლოს არც ერთ ნაწილს, ოდნავადაც არ შეფერხდეს დიადი მშენებლობა სოციალისტური ქვეყნის ცხოვრების არც ერთს უბანზე და ერთი წუთითაც არ დაბრკოლდეს ჩვენი ბუმბერაზული ნაბიჯებით წინსვლა შემდგომ გამარჯვებათა მოსაპოებლად.

ჩვენ ამას შევძლებთ. თავდებად დავასახელებთ იმას, რომ ხორცს ისხამენ სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული ბრძანებულებანი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, ღონისძიებანი მთავრობისა და ლენინ-სტალინის პარტიისა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, შრომის რკინისებური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, შრომის რეზერვების გამრავლებისა და გაძლიერებისათვის.

თავდებად დავასახელებთ იმას, რომ სტალინური კონსტიტუციის პრინციპების დასაცავად, ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირს ფოლადისა და რკინის ზღუდეებად გარს არტყია ჩვენი სახელოვანი, მამაცი, სოციალისტური სამშობლოს ძლევამოსილი მხედრობა.

თავდებად დავასახელებთ იმას, რომ უკანასკნელ ხანებში კიდევ უფრო გაიზარდა პოლიტიკური, სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერება საბჭოთა კავშირისა, რომელიც უკვე 16 მოკავშირე რესპუბლიკისაგან შესდგება!

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს მის შემომქმედს დიდ სტალინს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, იმედსა და სასოებას მთელი მოწინავე კაცობრიობისა!

ჩან კაი-შის სიტყვა

ჩუნცინი, 3 დეკემბერი (საკდესი). 2 დეკემბერს გომინდანის ცაკის წევრთა ყოველკვირეულ კრებაზე ჩან კაი-შიმ სიტყვა წარმოსთქვა იაპონიის მიერ ვან ძინ-ვეის „მთავრობასთან" შეთანხმების დადების გამო.

ჩან კაი-შიმ სიტყვის დასაწყისში აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელი დეკადის განმავლობაში საომარი ოპერაციები ხუბეის პროვინციის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში იაპონელთა დამარცხებით დამთავრდა.

შეეხო რა იაპონიის მიერ ვან ძინ-ვეისთან დადებულ ხელშეკრულებას და ნანკინის მარიონეტული „მთავრობის" ცნობას, ჩან კაი-შიმ სთქვა, რომ იაპონიის ეს ნაბიჯი სხვა არა არის რა, თუ არ იმის განმეორება, რის გაკეთებაც განზრახული იყო ამა წლის მარტში, როცა აბე ნანკინს ჩავიდა. შეთანხმება, — განაცხადა ჩან კაი-შიმ, — ქაღალდის ნაგლეჯს წარმოადგენს, რომელიც ყურადღების ღირსიც არ არის. ამავე დროს იგი არის იაპონია-ჩინეთის მტრობის ყველაზე დაუვიწყარი დოკუმენტი. ვან ძინ-ვეის ცნობით და მასთან შეთანხმების ხელმოწერით, ამავე დროს იაპონიის, მანჯოუ-გოსა და ჩინეთის ეგრეთწოდებული „სამმხრივი დეკლარაციის" გამოქვეყნებით კონოეს კაბინეტი მიზნად ისახავს დაამთავროს იაპონია-ჩინეთის ომი. მაგრამ ასეთი ნაბიჯით იაპონელები ვერა თუ ვერ შესძლებენ იაპონია-ჩინეთის ომის ლიკვიდირებას, არამედ, პირიქით, აუცილებელს ხდიან მის განგრძობას. უკანასკნელი შეთანხმება ისეთი დოკუმენტია, რომელიც აშკარავებს იაპონიის სამხედრო წრეების სამხედრო - პოლიტიკურ დამარცხებას.

დასასრულ ჩან კაი-შიმ მოუწოდა ხალხსა და არმიას დაირაზმონ და სრულ გამარჯვებამდე იბრძოლონ.

მაკდონალდის გამოსვლა

ლონდონი, 3 დეკემბერი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ გუშინ რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მაკდონალდმა. თავის სიტყვაში მაკდონალდმა სთქვა, რომ ომის დროს ინგლისის დიდი ქალაქებიდან გაყვანილ იქნა მილიონნახევარზე მეტი კაცი. შეეხო რა ლონდონის ყუმბარსაფრებში არსებულ მდგომარეობას, მაკდონალდმა განაცხადა, რომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად ფართო ღონისძიებებს ახორციელებენ. ლონდონის თავშესაფრებში იდგმება ერთი მილიონი საწოლი. თავშესაფრებში უმჯობესდება ვენტილაცია. ექიმები რეგულარულად იკვლევენ ამ თავშესაფრებს. თვითეულ თავშესაფარში არის პირველი დახმარების პუნქტი, რომელიც უზრუნველყოფილია ყოველივე იმით, რაც კი საჭიროა უბედური შემთხვევებისა და არასერიოზულ დაავადებათა დროს სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელების წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ღონისძიებანი ტარდება არა მარტო ლონდონში, არამედ მთელს ინგლისშიც.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 4 დეკემბერი (საკდესი). უმაღლესი სარდლობა იუწყება: გერმანიის ერთმა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის 6 შეიარაღებული სავაჭრო გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 31.500 რეგისტრულ ბრუტო-ტონას შეადგენს. ავიაცია გუშინ თავს დაესხა ინგლისის აეროდრომებს, სამხედრო ბანაკებს, რკინიგზის ნაგებობებსა და სამხედრო ქარხნებს. შორჰემის აეროდრომზე ყუმბარები მოხვდა ანგარებს; განადგურებულია რამდენიმე თვითმფრინავი მიწაზე.

3 დეკემბერს ღამით, ცუდი ამინდის მიუხედავად, გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ცენტრალურ და სამხრეთ ინგლისის სამხედრო მნიშვნელობის სხვადასხვა ობიექტს. ამ ღამეს ინგლისის ცალკეულმა თვითმფრინავებმა ყუმბარა ჩამოჰყარეს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში, მაგრამ მხოლოდ მცირეოდენად დააზიანეს შენობები.

როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ნოემბერში გერმანიის ავიაციამ მრავალ ცალკეულ იერიშთან ერთად, 23 დიდი თავდასხმა მოახდინა; ამ თავდასხმების დროს ერთ ღამეს თვითეულ მიზანზე ჩამოყრილია 100.000-600.000 კილოგრამი ყუმბარა, სულ ამ დიდ იერიშების დროს ჩამოყრილია 5 მილიონი ცეცხლგამჩენი ყუმბარა.

გუშინდელი ღამის განმავლობაში ყუმბარა დავუშინეთ ლონდონს, საუთჰემპტონსა და განსაკუთრებით ბირმინჰამს. ბირმინჰამში ძლიერი ხანძარი გაჩნდა ოცდაათზე მეტ ადგილას.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 4 დეკემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ დღისით გერმანიის ავიაციამ რამდენიმე მცირე თავდასხმა მოახდინა აღმოსავლეთ ინგლისსა და ლონდონის რაიონზე. ზარალი და მსხვერპლი უმნიშვნელოა.

საღამოს ყუმბარა დაუშინეს დასავლეთ ინგლისის ორ პუნქტს.

3 დეკემბერს ღამით ყუმბარა დაეყარეს ლონდონსა და ცენტრალური ინგლისის ზოგიერთ რაიონს. საერთო მსხვერპლი უმნიშვნელოა. რამდენიმე რაიონში ხანძარი გაჩნდა, რაც მალე ჩაქრობილ იქნა. ლონდონში არც ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი არ დაზარალებულა.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, 3 დეკემბერს ღამით ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა რაინის ოლქის რკინიგზის კომუნიკაციებს.

საბერძნეთ-იტალიის ომი

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი (საკდესი). როგორც ამერიკული პრესა იუწყება, იტალიელები განაგრძობენ ელბასანისაკენ უკანდახევას. ბერძნებმა ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს მუმულისტა, პოგრადეცის ჩრდილოეთით. მოსკოპოლის ჩრდილოეთ-დასავლეთით ბერძნებმა იტალიელთა კონტრიერიში მოიგერიეს. ორივე მხარეს დიდი ზარალი აქვს.

უკანასკნელი ცნობებით, ბერძნებმა დაიკავეს არგიროკასტრონსა და სანტი-კვარანტას შორის მდებარე დიდი სოფელი.

ფრონტის სამხრეთ სექტორში, სადაც საბერძნეთის ჯარი იტალიის ალპიურ ნაწილებს ებრძვის, ძლიერი ქარბუქი მძვინვარებს, რაც ორივე მხარის მოქმედებას აძნელებს.

ჩრდილოეთ ნაწილში საბერძნეთის ჯარი კვლავ მისდევს მტერს. ეპირის სექტორში იტალიელები დიდძალ ტანკებსა და ჯავშნიან ავტომობილებს იყენებენ.

საბერძნეთის მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბერძნეთის ჯარი სანტი-კვარანტას გასცილდა. მისი სიტყვით, იტალიელები უკან იხევენ დელვინის მახლობლად მდებარე მაღლობებისაკენ.

ათენი, 4 დეკემბერი (საკდესი). საბერძნეთში მოქმედი ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბმა განაცხადა, რომ 2 დეკემბერს ინგლისის ყუმბარმშენი ავიაცია თავს დაესხა ვალონის მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს. ნავსაყუდლის მახლობლად ზოგიერთ დიდ შენობაში ხანძარი გაჩნდა, რასაც აფეთქებაც მოჰყვა. მრავალი ყუმბარა დაეყარეს მოლოსა და ერთ გემს.

ლონდონი, 4 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საბერძნეთის ჯარი იტალიელთა პოზიციებში შეიჭრა არგიროკასტრონსა და სანტი-კვარანტას შორის, იონიის ზღვის სანაპიროზე და ბატონობს ამ ორი ქალაქის შემაერთებელ გზაზე. ბერძნებმა შეტევა გააძლიერეს პრემეტის რაიონშიც. ათენის რადიოს ცნობით, საბერძნეთის ჯარი სანტი-კვარანტიდან სულ 2 კილომეტრზე იმყოფება. ფრონტის ცენტრალურ სექტორში ბერძნებმა დაიკავეს სტრატეგიული თვალსაზრისით ორი მნიშვნელოვანი და ძლიერ გამაგრებული მაღლობი არგიროკასტრონის აღმოსავლეთით.

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 4 დეკემბერი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: საბერძნეთის ფრონტზე მტრის მრავალი შენაერთის იერიშები მოგერიებულ იქნა ჩვენი ჯარის მედგარი წინააღმდეგობით; ჩვენი ჯარი მძლავრ კონტრშეტევას ახორციელებდა. იტალიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ზონას ერსეკის დასავლეთით, პრევეზის და ლეფკასის კუნძულის ნავსადგურებს. ტირანაში საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია მტრის 6 თვითმფრინავი, 3 ჩვენი თვითმფრინავი ბაზაში არ დაბრუნებულა. მტრის თვითმფრინავებმა ყუმბარა დააყარეს ელბასანს. მსხვერპლი უმნიშვნელოა; ნგრევა არ მომხდარა. ჩვენმა ტორპედმზიდმა თვითმფრინავებმა სუდის ყურეში (კრეტას კუნძული) ტორპედები დააყარეს მტრის ორ კრეისერს.

1 დეკემბერს ჩვენი წყალქვეშა ნავის მიერ ატლანტის ოკეანეში ტორპედირებულია მტრის საესკადრო ნაღმოსანი.

საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკე

ათენი, 4 დეკემბერი (საკდესი). საბერძნეთის არმიის უმაღლესმა სარდლობამ გუშინ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „პოგრადეცის რაიონში ახალი მაღლობები დავიკავეთ. ხელთ ვიგდეთ ტყვეები, ავტომატური იარაღი, მორტირები და 3 ზარბაზანი. ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარა მტრის კოლონებსა და მტრის ზურგში განლაგებულ საწყობებს. ბომბარდირების შემდეგ რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია მტრის ორი თვითმფრინავი. საბერძნეთის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა".

საბერძნეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 3 დეკემბერს იტალიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ფილიატესა და პრევეზას. არის ცოტაოდენი მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

საფრანგეთის თვითმფრინავები გიბრალტარში

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, 2 და 3 დეკემბერს გიბრალტარში დაეშვა საფრანგეთის 15 თვითმფრინავი.

საომარი მოქმედება ტაისა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთს შორის

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ 4 დღის განმავლობაში, 29 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე, ტაის თვითმფრინავებმა 4-ჯერ დაუშინეს ყუმბარა ქალაქ ტაკეკსა და სავანაკეტს.

ვიშში გამოქვეყნდა ცნობა, რომელიც უარჰყოფს ხმებს, თითქოს ტაის ჯარს დაეკავებინოს საფრანგეთის ტერიტორია არანის მახლობლად, აგრეთვე ცნობებს, ვითომც საფრანგეთის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ტაის ქალაქებს.

ოფიციალური ცნობებით, ტაის არმია 21.500 ჯარისკაცისა და 1500 ოფიცრისაგან შესდგება. გარდა ამისა, ტაის ჰყავს გაწვრთნილი რეზერვი—160 ათასი კაცი, რომელთაგანაც ამჟამად მობილიზებულია 80 ათასი კაცი. არმია შეიცავს 22 ქვეითს ბატალიონს, 4 ცხენოსან პოლკს, არტილერიის 8 ჯგუფს, რომლებსაც აქვთ 75 მილიმეტრ ყალიბიანი 130 საველე ზარბაზანი „ბოფორსი", 24 მცირე ჰაუბიცი, 80 ტანკი, მათ შორის 70 სამტონიანი და საჰაერო თავდაცვის არტილერიის 3 ბატარია. ავიაციის რაოდენობა გამოურკვეველია. ფლოტი შეიცავს 1400 ტონა წყალწყვის 2 საესკადრო ნაღმოსანს, 3 თანამედროვე და 6 ძველ ტორპედიან გემს, 5 საკანონერო გემს, წყალქვეშა ნავების 3 გამანადგურებელს, 4 წყალქვეშა ნავს და 6 ჰიდროთვითმფრინავს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის ერთმა თუ ორმა სამხედრო ხომალდმა ჯარის მნიშვნელოვანი რაოდენობა გადასხა ტაიში. საფრანგეთის დესანტის იერიშები მოგერიებულია. ტაის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს საფრანგეთის სამხედრო შტაბს ტაკეკში.

როგორც იუწყებიან, 2 დეკემბერს „ძირგამომთხრელმა ელემენტებმა" საფრანგეთის ინდო-ჩინეთში კომუნიკაციები დაანგრიეს მდინარე მეკონგის ხეობასა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთის დანარჩენ ნაწილს შორის.

საფრანგეთის ბანგკოკელმა დესპანმა გარომ ტაის პრემიერი მონგრამი ინახულა და დაჟინებით მოსთხოვა მოწესრიგებულ იქნას ინციდენტი წვიმის სეზონის დამთავრებამდე, სანამ შესაძლებელი გახდება საომარი მოქმედება ფართო მასშტაბით.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

ბორდო, 3 დეკემბერი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, კომუნიკეში საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც გუშინ პეტენის თავმჯდომარეობით შესდგა, ნათქვამია, რომ მინისტრთა საბჭომ განიხილა სხვადასხვა საკითხი, რაც დაკავშირებულია ვერსალში სახელმწიფოს მეთაურის პეტენის მომავალ გადასვლასთან. სამხედრო მინისტრმა გენერალმა ჰიუნტციგერმა გააკეთა მოხსენება ლორენიდან გადმოსახლებულ ფრანგთა მდგომარეობის შესახებ. მრეწველობისა და შრომის მინისტრმა ბელენმა სხდომას მოახსენა პროფესიული ორგანიზაციების სტატუტის დასადგენად გაწეული მუშაობა. ამ სტატუტის საბოლოო პროექტი, ალბათ, წარდგენილ იქნება მინისტრთა საბჭოს იმ სხდომის განსახილველად, რომელიც 6 დეკემბერს შესდგება.

ეგვიპტის ქალაქების ბომბარდირების მსხვერპლი

ლონდონი, 3 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ჰუსეინ სირი-ფაშამ გუშინ პარლამენტში განაცხადა, რომ ეგვიპტის ქალაქებზე იტალიის ავიაციის თავდასხმების შედეგად მოკლულია 155 კაცი და დაჭრილია 425 კაცი.

სირი-ფაშამ განაცხადა აგრეთვე, რომ ეგვიპტის მთავრობა მოკლულთა ნათესავებსა და დანგრეული სახლების მესაკუთრეებს ერთდროულ სესხს აძლევს იმ ფონდებიდან, რომლებიც შექმნილია ემიგრირებულ იტალიელთა საკუთრების ხარჯზე.

ეგვიპტის პროტესტი იტალიისადმი

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ჰუსეინ სირი-ფაშამ პარლამენტს აცნობა რომ მთავრობამ პროტესტი განუცხადა იტალიას ეგვიპტის ქალაქების ბომბარდირების წინააღმდეგ.

როგორც იუწყებიან, შეერთებული შტატების რომის საელჩომ ეს პროტესტი იტალიის მთავრობას გადასცა.

იტალიის მთავრობა უარჰყოფს

ბერლინი, 3 დეკემბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, იტალიის კომპეტენტურ წრეებში კატეგორიულად უარჰყოფენ ინგლისის რადიოს მიერ ამ უკანასკნელ დროში გავრცელებულ ხმებს, რომ ალბანეთში იტალიის წინააღმდეგ მიმართული საჯანყებო მოძრაობა გაჩაღდა. ამავე დროს უარჰყოფენ ინგლისის რადიოს ცნობებს იმის შესახებ, თითქოს ამ უკანასკნელ დღეებში ტყვედ წაყვანილია 2,5 ათასი ან 5 ათასი იტალიელი. იტალიელთა წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ყოველივე ეს მთლად მოჭორილია.

„ხმების წინააღმდეგ ბრძოლის" საკითხისათვის იაპონიაში

ტოკიო, 3 დეკემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „ასახი" იუწყება, საზღვაო მინისტრი ადმირალი ოიკავა სამხედრო და საზღვაო სამინისტროების სახელით კაბინეტის სხდომაზე გამოვიდა საერთო წარდგინებით და მოითხოვა გააუმჯობესონ „ტახტის დახმარების ასოციაციის" საქმიანობა, განამტკიცონ ომიანობის დროის ეკონომიკა და განსაკუთრებით გაადიდონ საომარი მასალათა წარმოება. ადმირალმა ოიკავამ განსაკუთრებით აღნიშნა „დაუსაბუთებელი ხმების" გავრცელებასთან ბრძოლის საჭიროება. სამხედრო მინისტრმა გენერალმა ტოძიომ განაცხადა, რომ იგი მთლიანად იზიარებს საზღვაო მინისტრის თვალსაზრისს, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარი ხმები „გავლენას ახდენენ ქვეყნის მდგომარეობაზე".

ოიკავამ, როგორც გაზეთი აღნიშნავს, ჩამოაყალიბა რა თავისი მოთხოვნა, განაცხადა, რომ მთავრობამ „მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაპყროს შექმნილი მდგომარეობის სიძნელეთა გადალახვას და ხალხში რწმენის განმტკიცებას".

აღნიშნა რა ახლანდელი მდგომარეობის სერიოზულობა და „მოვლენათა გარდუვალობა", მან მიუთითა, რომ იაპონიის ეკონომიური ძლიერების განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებისას საჭიროა დავიცვათ განსაკუთრებული სიფრთხილე და არ დავუშვათ ისეთი მდგომარეობა „რომელიც ხალხში შეშფოთებას გამოიწვევდა".

„ოპოზიციის ყველა მანევრი და დაუსაბუთებელი ხმები, რაც ხალხში შფოთს წარმოშობს, — განაცხადა ოიკავამ, — გადაჭრით უნდა იქნას აღკვეთილი". დასასრულ ოიკავამ ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ „უკანასკნელ დროს გამოაშკარავდა ჩვენს ქვეყანაში მავნე პოლიტიკური საქმიანობისა და დაუსაბუთებელი ხმების გავრცელების ფაქტები", აგრეთვე ფაქტები „ზოგიერთ პირთა საქმიანობისა, რომლებიც ცდილობენ ლახვარი ჩასცენ ახლანდელ კაბინეტს".

ახალი კანონი ა. შ. შტატებში

ვაშინგტონი, 3 დეკემბერი (საკდესი). რუზველტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს 10 წლით საპყრობილეში მოთავსებას „ისეთი მასალების განზრახ დაზიანების ან მოსპობისათვის, რასაც თავდაცვასთან დამოკიდებულება აქვს".

რუზველტი კარაიბის ზღვის რაიონში გაემგზავრა

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რუზველტი ვაშინგტონიდან კარაიბის ზღვის რაიონში გაემგზავრა, ალბათ, იმ ბაზების ინსპექტირების მიზნით, რომლებიც შეძენილია ინგლისისაგან და განკუთვნილია სამხედრო ბაზების მშენებლობისათვის.

კურორტი წყალტუბო. ათობით და ასობით მშრომელები მკურნალობენ კურორტ წყალტუბოს სანატორიუმებში. **სურათზე:** პირველი სანატორიუმის დამსვენებლები (მარჯვნიდან მარცხნივ)—ა. თ. ხრიაკოვი — მოსკოვის საბჭოების სასახლის მშენებლობის უფროსი არქიტექტორი, ვ. გ. ფიცხელაური—მაიორი, თეთრფინელებთან ბრძოლის მონაწილე; „წითელი დროშის" ორდენით დაჯილდოებული, და ი. ნ. ჭუჭულაშვილი — სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" სტახანოველი კოლმეურნე კურორტის პარკში.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქტასის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეაბრეშუმეობის კომისიის მეხუთე პლენუმი

6 დეკემბერს ქ. თბილისში, თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაში გაიხსნება სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეაბრეშუმეობის კომისიის მეხუთე პლენუმი.

პლენუმზე დამუშავებული იქნება მეაბრეშუმეობის განვითარების დარგში დღემდე არსებული მეცნიერული მეთოდების გამოყენების შედეგები და აღნიშნული იქნება ამ მეთოდებით მიღწეული წარმატებანი.

მოსმენილი იქნება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის პროფ. კოსპინსკის (მოსკოვი), სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორის პროფ. პოიარკოვის (ტაშკენტი) და თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკის ამხ. შ. ღვინეფაძის მოხსენებები სელექცია-გენეტიკის და ჰიბრიდიზაციის საკითხებზე.

საანგარიშო მოხსენებებით თბილისისა და ტაშკენტის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაობის შესახებ გამოვლენ ამხ. აკ. ეღენტი და ჩირკოვი.

თემაზე — „მეთუთეობა" მოხსენებებით გამოვლენ: ამხ. ოსტროუხოვი (პიატიგორსკი), კაფიანი (თბილისი) და სტრუნიკოვი (მოსკოვი). მოხსენებით თემაზე — „ქისტაურელი მეაბრეშუმე სტახანოველების გამოცდილება" გამოვა თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. აკ. ეღენტი.

პლენუმზე პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მოწვეული არიან სახელგანთქმული მეაბრეშუმე სტახანოველი ქალები: ო. აივაზაშვილი, ხოსიტაშვილი, კვიცაშვილი, ნუცუბიძე, გორდელაძე და სხვ.

პლენუმი გასტანს 15 დეკემბრამდე. ამასთან დაკავშირებით თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაში ეწყობა სპეციალური გამოფენა მეაბრეშუმეობის საკითხებზე, სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი მეაბრეშუმეობის დარგში მიღწეული უდიდესი წარმატებანი მრავალი საინტერესო ექსპონატისა და დიაგრამის სახით.

პლენუმის მუშაობას უხელმძღვანელებს საკავშირო მიწსახკომის მეცნიერული განყოფილების უფროსი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ავდონინი.

ხიდი მდ. ენგურზე

საქართველოს სსრ შინსახკომის გზატკეცილთა სამმართველო მდ. ენგურზე აგებს დიდ საგზატკეცილო ხიდს, რომლის ღირებულება 16 მილიონ მანეთს უდრის. მშენებლობა 1941 წელს უნდა დამთავრდეს.

ხიდის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ზუგდიდის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები. ანაკლიის ლენინის სახელობის, კოკის — სტალინის სახელობის, კახათის — „კომინტერნი". და სხვ.

სამუშაოდ მოსული კოლმეურნეებისათვის მშენებლობაზე უზრუნველყოფილია საერთო საცხოვრებელი, კულტმომსახურება და კვება.

გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება მშენებლობის ვადაზე დამთავრებისა და ხიდის საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟ. ქ. ბერია.

ტ. ჩარკვიანი.

ხიდი მდ. იორზე

თიანეთი, (საქტასი). 30 ნოემბერს დამთავრდა ახალი ხიდის მშენებლობა მდინარე იორზე. ხიდით ისარგებლებს როგორც თიანეთის რაიონის, ისე თელავის რაიონის მოსახლეობა. ხიდის მშენებლობაზე დახარჯულია 40.000 მანეთი.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომში სამი დღის ვადაში უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: პარმენ სიმონის-ძე **ჯანაშია,** ვახტანგ კალისტრატეს-ძე **ძიძიგური,** მარიამ ალექსანდრეს-ასული **ყარაულაშვილი,** დავით ალექსანდრეს-ძე **კელეურიძე,** ათანასე კუზმას-ძე **ლეონიძე,** სოფიო კონსტანტინის-ასული **სიჭინავა,** ისიდორე კონსტანტინეს-ძე **უჩაძე,** ალექსანდრე სერგოს-ძე **ხარაძე** და ვახტანგ კლიმენტის-ძე **ცაგარელი.**

დრამატურგთა კონფერენცია-სემინარი

8 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დრამატურგთა სექცია ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან ერთად მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) აწყობს კონფერენცია-სემინარს დამწყებ დრამატურგებისათვის.

კონფერენცია გაიხსნება 8 დეკემბერს, დილის 11 საათზე, სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. პ. კანდელაკის მოხსენებით დრამატურგთა რესპუბლიკური კონკურსის შედეგებზე.

სემინარზე მუშაობა ყოველდღიურად იწარმოებს.

მწერლები და პროფესორები წაიკითხავენ ლექციებს დრამატურგიისა, ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე. გამოცდილების გაზიარების მიზნით საქართველოს ცნობილი დრამატურგები ჩაატარებენ საუბრებს თავიანთ შემოქმედებაზე. კონსულტაციისათვის განხილული იქნება ახალგაზრდა ავტორების რამდენიმე პიესა. გზადაგზა კონფერენციის მონაწილენი დაათვალიერებენ მუზეუმებსა და ისტორიულ ძეგლებს და დაესწრებიან საინტერესო სპექტაკლებს.

მწერალთა კავშირში

6 დეკემბერს მწერალთა სასახლეში კრიტიკოსთა სექცია აწყობს ამხ. ბეს. ჟღენტის მოხსენებას: „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიისათვის". დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

ადამ მიცკევიჩის ხსოვნის საღამო

პოლონეთის დიდი მწერლის ადამ მიცკევიჩის გარდაცვალების 85 წლისთავთან დაკავშირებით, 7 დეკემბერს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში გაიმართება მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენებას ადამ მიცკევიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთებს პოეტი იასამანი. საღამოზე სიტყვას წარმოსთქვამენ აგრეთვე ამხანაგები: ი. აბაშიძე, ს. ჩიქოვანი, ლ. ასათიანი, გ. აბაშიძე, ვ. გორგაძე და ვ. წულუკიძე. ქართულ ენაზე თარგმნილ ადამ მიცკევიჩის ლექსებს წაიკითხავენ ამხანაგები: კ. ჭიჭინაძე, ი. აბაშიძე, ს. ჩიქოვანი, ვ. გორგაძე და გ. აბაშიძე. (საქტასი).

ლექციები და მოხსენებები

6 დეკემბერს, საღ. 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში ქართულ ენაზე შესდგება ამხ. **ბურჭულაძის** პირველი ლექცია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ციკლიდან. თემა: **„ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი და მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პეტერბურგის კავშირი".**

7 დეკემბერს, საღ. 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში შესდგება პროფ. **ილინსკის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ტოლსტოის ცხოვრება და მოღვაწეობა".**

დღეს თეატრსა და კინოებში

თეატრში: გრიბოედოვის სახელობის — „კრემლის კურანტები".

კინოებში: **რუსთაველის** სახ.—„მიგდებული ბავშვი", **დღისით** — „დიდი მოქალაქე" (მეორე სერია), **ოქტომბერი** — „მშვენიერი ვასილისა", **დამკვრელი** — „ქალი ხიდობნიდან", **დღისით**— „აი-გიულ", **კომკავშირელი** — „მუსიკალური ისტორია", **ლუქსემბურგის** სახ.—„მუსიკალური ისტორია", **სპარტაკი** — „ქალი ხიდობნიდან", **26 კომ.** სახ. — „ბალტიელები", **კომინტერნი**— „ქალი ხიდობნიდან", **წითელი არმიის სახლი** — „ნათელი გზა", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „უმზითევო პატარძალი", **ბერიას სახელობის კულტურის სახლი** — „დიდი ვალსი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „ღამე სინტრაბერში", **საზკვების კავშირის კლუბი** — „დარიკო", **განთიადი** — „ქალი ხიდობნიდან". **მეცნიერება და ცოდნა** — „თეთრი ღამე".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

5 დეკემბერს
ქაქო ყაჩაღი

6 დეკემბერს
1 და 3 აბ. მე-4 წარმ.
ტრავიატა
სსრკ მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დიდი საოპერო თეატრის სოლისტის
დავით ბადრიძის
მონაწილეობით.

7 დეკემბერს
პიკის ქალი

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
8 დეკემბერს დღის წარმოდგენა დაკლებულ ფასებში **ქაქო ყაჩაღი**
დასაწყისი დღის 12 ს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

5 დეკემბერს
უდანაშაულო დამნაშავენი

6 დეკემბერს
ბოგდან ხმელნიცკი

7 დეკემბერს
გიორგი სააკაძე

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი

5 დეკემბერს
გიორგი სააკაძე

7 დეკემბერს
ბედნიერება

8 დეკემბერს
მადამ სან-ჟენ

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.
ანონსი ალ. დიუმა
მარგარიტა გოტიე
დრამა 5 მოქმ.
თარგმ. ალ. იმედაშვილისა და ვალ. გუნიასი.

საქსახესტრადის საზამთრო თეატრი
პლეხანოვის, 123, ტელ. 3-66-01,

5 დეკემბერს
საბჭოთა ესტრადის დეკადის გახსნა
საქართველოს ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი 2 განყოფილებად.
სამხატვრო ხელმძღვანელი კომპოზიტორი გრ. კოკელაძე
ლოტბარობენ ქ. პაჭკორია, ორდენოსანი, და დ. კავსაძე
დასაწყისი საღ. 9 საათზე. ბილეთები იყიდება.
გამოშვებულია 20% შეღავათიანი ტალონები დეკადაზე დასასწრებლად,
ტალონების შეძენა შეიძლება დაწესებულებების ადგილკომებში.

მოზარდ მაყურებელთა ქართული სახელმწიფო თეატრი
1940—41 წ. წ. სეზონი

5 დეკემბერს ორი წარმოდგენა
მოლიერი
სკაპენის ოინები
დადგმა რესპ. დამსახ. არტისტ ალ. თაყაიშვილისა
აბონემენტი № 31 დასაწყისი დღის 1 საათზე.
აბონემენტი № 34 დასაწყისი საღ. 8 საათზე.
დარჩენილი ბილეთები იყიდება სალაროში. 353

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთ. სამმართველოს გურჯაანის აგურის ქარხნის ბალანსი 1940 წ. 1 იანვრისათვის (ათას მან.)

	აქტივი			პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	364	1	საწესდებო ფონდი	369
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	21	2	სხვადასხვა ფონდები და რეზერვები	5
3	ნახევარფაბრიკატები	23	3	ანგარიშსწორება	139
4	მზა ნაწარმი და საქონელი	2			
5	ფულადი სახსრები	2			
6	ანგარიშსწორებანი	8			
7	მომავალი პერიოდის ხარჯები	7			
8	1939 წლის ზარალი	86			
	ბალანსი	513		ბალანსი	513

1939 წლის მოგება-ზარალის ანგარიში (ათას მან.)

1.	სხვადასხვა ზარალი	102	1.	მოგება რეალიზაციით	16
			2.	ზარალის სალდო	86
	ბალანსი	102		ბალანსი	102

დირექტორი ჟორდანია. **მთ. ბუღალტერი ბოლაშვილი.**

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთ. სამმართველოს უფროსის მიერ ოქმისა № 13, 4/III—40 წ.

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის
მთ. სამმართველოს მთავარი ბუხჰალტერი **ინწკირველი.**

655

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთ. სამმართველოს სურამის კირის ქარხნის ბალანსი 1940 წ. 1 იანვრისათვის (ათას მან.)

	აქტივი			პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	259	1	საწესდებო ფონდი	333
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	55	2	სხვადასხვა ფონდები და რეზერვები	6
3	ნახევარფაბრიკატები	42	3	მოკლევადიანი სესხები	51
4	მზა ნაწარმი და საქონელი	28	4	ანგარიშსწორებანი	81
5	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	47	5	1939 წლის მოგება	73
6	ფულადი სახსრები	15			
7	ანგარიშსწორებანი	33			
8	მომავალი პერიოდის ხარჯები	25			
9	განყენებული საშუალებანი	—			
	ბალანსი	544		ბალანსი	544

1939 წლის მოგება-ზარალის ანგარიში (ათას მან.)

1	სხვადასხვა ზარალი	24	1	მოგება რეალიზაციით	53
2	მოგების სალდო	73	2	სხვადასხვა შემოსავალი	44
	ბალანსი	97		ბალანსი	97

დირექტორი შ. მაცხონაშვილი. მთავ. ბუხჰალტერი **თ. ლოცაბიძე.**

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთ. სამმართველოს უფროსის მიერ, ოქმი № 6, 25/II—40 წ.

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული სამშენებლო მასალათა მრეწველობის
მთ. სამმართველოს მთ. ბუხჰალტერი—**ინწკირველი.**

652

მშობლები ქრისტინე, აფრასიონ, დები ცაცა, ეთერ, მანია, ძმა ავთანდილ ებანოიძეები იუწყებიან
შოთა აფრასიონის-ძე ებანოიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/XII, 6 ს. II საავადმყოფოში (ყოფ. ალექსანდროვის) დაკრძალვა ზესტაფონში 8/XII.

უახლოესი მეზობლები ვერა და ქრისტა კაკუბერი, ვართითერა ანტონიანი იუწყებიან
კონსტანტინე იოსების-ძე სამადაშვილის
გარდაცვალებას. 9165

ნ. ბულისაშვილი, ტ. აბაშიძე, მ. კვაჭაძე, თ. ამბროლაძე, ალ. ჭარხალაშვილი, მ. ხაინდრავა იუწყებიან თომა და შალვა ბერეკაშვილების ძმის
პალადი ივანეს-ძე ბერეკაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კურსებში. 9164

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი, თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84. სასოფლო - სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84, წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგისა და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 4061